ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 22 აპრილი, 2021 №69 (8598) ფასი: 60 თეთრი

## პოლიციამ 10 ნარკორეალიზატორი დააკავა

ამოღებულია 7 კილოგრამამდე ჰეროინი

გვ.5



# „ოპოზიციას არა ჰყავს არც ლიდერი და არც პოლიტიკური გუნდი“





გვ.3

კახა კუკავა: „დასავლეთს ისევ ერთ ივანიშვილთან ურჩევნია ჰქონდეს საქმე, ვიდრე ასი ოპოზიციური ლიდერის ერთობასთან“



გვ.2

## „20 ივნისის დაზარალებული მეც ვარ“

თეონა აქუბარდია: „ამნისტიის კანონს ამ ფორმით, რომ პასუხისმგებლობისგან პოლიციელებიც გათავისუფლდნენ, მხარს არ დავუჭერთ“

თამარ ჩხეიძე: „გახარიას პარტიისთვის მიცემული ხმები ივანიშვილის ან რუსეთის ხმები იქნება“

გვ.3



## ლაშა ჩხარტიშვილი: „ნიკა მელიას ღირსეული განთავისუფლების გარანტიები ჯერ არ გვაქვს“



გვ.4



## ამირან სალუქვაძე: „ხელმოწერის ცერემონია ჩემთვის ძალიან დამამცირებელი იყო“

## „მელიას უთანაბრებენ იმ პირებს, რომლებმაც მოქალაქეებს თვალები დასთხარეს“



## 17 წლის მარიამ ბურჭულაძე ცოცხალი იპოვეს

გურიაში 3 დღის წინ დაკარგული 17 წლის მარიამ ბურჭულაძე პოლიციამ იპოვა. ის ცოცხალი და უვნებელია.

გვ.5

„შევეცდები, მკვდარი სხეულები დავხატო, რომლებიც დღეს მოვკალი“

რა წერია მარიამ ბურჭულაძის წერილში

ISSN 1987-9385

5 „ყურსასმენები ეკეთა, კლასელებმა ქვები ესროლეს, მაგრამ ვერ გააგებინეს“ — ზესტაფონში ირაკლი თოფაძე მატარებელმა გაიტანა

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.344 ფაქტი გამოავლინა

2 გიორგი რურუას პრეზიდენტი 27 აპრილს შეიწყალებს

6 „საკანში ჩონჩხი დაბარბაცებს“ ნავალნის მხარდამჭერ აქციებზე 200 ადამიანი დააკავეს

# „20 ივნისის დაზარალებული მეც ვარ“

## თეონა აქუბარდია: „ამნისტიის კანონს ამ ფორმით, რომ პასუხისმგებლობისგან პოლიციელებიც გათავისუფლდნენ, მხარს არ დავუჭერთ“

იაგო ნაცვლიშვილი

**მიშელის დოკუმენტი დღესაც განხილვის თემაა და ოპოზიციის ის ჯგუფი, რომელმაც დოკუმენტს ხელი არ მოაწერა, ხელმომწერ კოლეგებს მწვავედ აკრიტიკებს. ამას დაემატა „ქართულ ოცნებაში“ გაკეთებული განცხადებებიც, რომლის მიხედვითაც, ივნისის მოვლენებზე ამნისტიის კანონის მიხედვით პასუხისმგებლობიდან არა მარტო ნიკა მელია, არამედ მომიტინგეებზე ძალის გადამმეტებელი პოლიციელებიც გათავისუფლდებიან, რამაც ბევრის, მათ შორის, მაკო გომურის გაღიზიანებაც გამოიწვია, რომელმაც 20 ივნისს თვალი დაკარგა.**

**იღებს თუ არა პასუხისმგებლობას ამ ნაწილზეც პარლამენტში შესული ოპოზიცია და რა პასუხი აქვთ მაკო გომურთან ან 20 ივნისს დაზარალებულ სხვა პირებთან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი თეონა აქუბარდია საუბრობს.**

***— მიშელის დოკუმენტი დღესაც აქტიური განხილვის საგანია. ამნისტიის კანონზე ხელისუფლებისგან მოვისმინეთ, რომ ყველას შეეხება, მათ შორის პოლიციელებსაც. რა პასუხი გაქვთ ამაზე და იღებთ პასუხისმგებლობას ამ კონკრეტულ საკითხშიც?***

— დავიწყებ საუბარს იმით, რომ მოვაწერე ხელი შეთანხმებას, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისთვის, ხალხისთვის და მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკითხის განხორციელება დავიწყოთ საკანონმდებლო დონეზე, რომელიც ამ შეთანხმებაშია. შესაბამისად, ეს არის ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენი დასავლელი პარტნიორების მედიატორობით არის შემუშავებული.

***— მისაღებია პოლიციელების შეწყალება?***

— გიპასუხებთ ამაზეც. რაც შეეხება ამნისტიას, ეს არის შესაძლებლობა ნიკა მელიას საპატიმროდან გათავისუფლებისთვის. ჩვენ ამ შეთანხმებას ხელი მოვაწერეთ იმისთვის, რომ დასრულდეს პოლიტიკური მართლმსაჯულება და პოლიტპატიმრები გამოვიდნენ ციხიდან. შესაბამისად, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ოპოზიციონერი დეპუტატების მხრიდან კანონის შემუშავება. მიუხედავად „ქართული ოცნების“ განცხადებებისა, რომელთაც სურთ, რომ არანაირი პასუხისმგებლობა არ გავრცელდეს როგორც პოლიტიკური, ასევე უშუალოდ პოლიციელებზე, ეს ასე არ გამოვა. მიმდინარეობს მუშაობა და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ეს პასუხისმგებლობა „ქართულმა ოცნებამ“ არ მოიხსნას.



***— ანუ, ამ ფორმით კანონს მხარს არ დაუჭერთ?***

— რა თქმა უნდა, არა. „ქართულ ოცნებას“ სურს, ამ ამნისტიით შეძლონ, რომ ყოველგვარი პასუხისმგებლობა თავიდან აირიდონ გავრილოვის ღამესთან, იმ დაზარალებულებთან მიმართებაში, რომელთაც მიადგათ ზიანი პოლიციელების არამართლზომიერი ზომებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ისეთი პროექტის შემუშავება, რომელიც არ იქნება „ქართული ოცნების“ სურვილებთან თანხვედრაში. თუმცა, სანამ არ იქნება ეს პროცესი დასრულებული, დეტალებზე ნამდვილად ვერ გიპასუხებთ, რადგან მე არ გახლავართ იურისტი, ამიტომ მე მხოლოდ პოლიტიკურ მხარეზე შემიძლია გესაუბროთ.

***— სოციალურ ქსელში მაკო გომურმა დაწერა, რომ დაუსჯელობით დაღლილი დაზარალებულია და არ უნდა მისი ამოთხრილი თვალის ხარჯზეც ვინმემ საჯდომები გაითბოსო. რა პასუხი გაქვთ მაკო გომურისა და 20 ივნისს დაზარალებული ყველა ადამიანის მიმართ?***

— მე თავად გახლდით ერთ-ერთი დაზარალებული მოქალაქე. დილის 4 საათამდე ვიყავი 20 ივნისის ღამეს ადგილზე. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ ეს არ არის მტკივნეული და ემოციური საკითხი. ადამიანებმა დაკარგეს თვალი სწორედ იმ გადამეტებული ძალის გამო, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენა მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ. მათი ნარატივი ერთი ერთში ჯდებოდა რუსულ ნარატივთან, თითქოს ეს იყო რუსოფობიური აქცია, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ სურვილი, ნიკა მელიას პატიმრობაში ყოფნა გამოიყენოს, არ იყოს შესაძლებელი. ამიტომ, აბსოლუტურად მესმის როგორც მაკო გომურის, ასევე სხვა მომიტინგეების ემოცია. ნამდვილად ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შევძლოთ ეს მძიმე საკითხი მაქსიმალურად ნაკლებად მტკივნეულად იყოს გადაწყვეტილი მშვიდობიანი მომიტინგეებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ და დაზარალდნენ ამ საპროტესტო გამოსვლებში.

***— აღნიშნეთ, რომ არ დაუჭერთ მხარს ამ ფორმით ამნისტიის კანონის მიღებას. მაშინ რა ბერკეტი რჩება იმისთვის, რომ ნიკა მელია გამოვიდეს ციხიდან და თუ ვერ მოხდა მელიას გათავისუფლება, მაინც მიიღებთ საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობას?***

— შეთანხმების ტექსტში ცალსახად წერია პოლიტიკური მართლმსაჯულების საკითხი. ნიკა მელია და გიორგი რურუა გარეთ რომ უნდა იყვნენ, ეს არის ის მოცემულობა, რომლის გამოც დავთანხმდით ჩვენ ამ დოკუმენტს. არ მინდა წინასწარ განცხადებების კეთება, სანამ არ იქნება პროექტი შემუშავებული, რომელზე მუშაობაც ახლა იწყება. როგორც იცით, როდესაც პროექტი იქნება, ამის შემდეგ შემეძლება საბოლოო პოზიციის საზოგადოებისთვის გაცნობა.

***— მოწინააღმდეგე მხარეს მყოფი ოპოზიციონერი კოლეგები ვერ იგებენ თქვენს გადაწყვეტილებას და არ ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება თქვენ რეიტინგზე უარყოფით გავლენას იქონიებს?***

— რაც შეეხება მოწინააღმდეგეებს, ვინც არ მოაწერეს ხელი ამ შეთანხმებას, მე ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში ყველა იქნება პარლამენტში მას შემდეგ, რაც ნიკა მელია იქნება გათავისუფლებული. არ ვფიქრობ, რომ სწორია დაპირისპირება განსხვავებული ტაქტიკის მქონე ადამიანების მიმართ, ისეთი, მაგალითად, რაც ვნახეთ სალომე სამადაშვილის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ ვუცხადებ მხარდაჭერას მის გაბედულ ქმედებას.

ახლა მნიშვნელოვანი არა ერთმანეთთან დაპირისპირებაა, არამედ ის, რომ „ქართულ ოცნებას“ შევასრულებინოთ ყველა ის დაპირება, რომელზეც მან ხელი მოაწერა. მნიშვნელოვანია, რომ შევძლოთ რიგგარეშე არჩევნების გზით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება. შესაბამისად, განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, თუ ჩვენთვის მთავარია „ოცნება“ გავუშვათ ხელისუფლებიდან, ამ საკითხში უნდა ვიყოთ ერთად.

***— ერთიანი ფორმატი უნდა იყოს შენარჩუნებული?***

— ამ შემთხვევაში ერთიან ფორმატში ვგულისხმობ, რომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ხელისუფლება უნდა შევცვალოთ რიგგარეშე არჩევნების გზით. ამ შემთხვევაში დევს გზა, რომელიც იდეალური არ არის და ეს არის კომპრომისი. არ მივესალმები პირად თავდასხმებს და არ ვაპირებ ამავე ფორმით ვუპასუხო იმ ადამიანებს, ვინც ფიქრობს, რომ ამ გადაწყვეტილებით ჩვენ რაიმე უბედურება ჩავიდინეთ. დიდი იმედი მაქვს, რომ მას შემდეგ, როცა მელია გათავისუფლდება ციხიდან, ყველას ვიხილავთ პარლამენტში და ერთად მოვიგებთ ბრძოლას, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან გაშვების მიზანია.

***— ოპოზიციის სრული სპექტრისთვის რიგგარეშე არჩევნების თვითმმართველობის არჩევნებზე მიბმა მიუღებელი იყო, როცა ეს „ოცნებამ“ გააჟღერა. რა შეიცვალა მას შემდეგ?***

— შეიცვალა ის, რომ დასავლეთმა დაიწყო წინაპირობებზე საუბარი. აქ საუბარი იყო როგორც ფინანსურ, ასევე პოლიტიკურ მხარდაჭერაზე. შესაბამისად დასავლეთმა აიძულა „ოცნება“, რომ წასულიყო დათმობებზე, ისევე, როგორც ჩვენც შევძელით, რომ კომპრომისით მივედით შეთანხმებამდე. რა თქმა უნდა, ილუზია არავის ჰქონია, რომ რომელიმე მხარე მოიგებდა. ამას გვეუბნებოდნენ ჩვენი პარტნიორები. ჩვენ გვინდოდა დანიშნულიყო რიგგარეშე არჩევნები, ან პლებისციტით ყოფილიყო, მაგრამ კომპრომისის შედეგად ასე გადაწყდა, რომ გზა თვითმმართველობის არჩევნებზე გადის, რაც არ არის იდეალური, მაგრამ შესაძლებელია, რომ შევძლოთ ის, რომ 2022 წელს ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები და „ქართული ოცნება“ გავუშვათ ხელისუფლებიდან.

***— თაკო ჩარკვიანთან დაკავშირებით რა ხდება? საბოლოოდ გაიყო თქვენი პოლიტიკური გზები?***

— როგორც ნახეთ ქალბატონი თაკოს განცხადებიდან, მას ეს გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მე მაინც ვფიქრობ, რომ განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, ქალბატონი თაკო იქნება პარლამენტში და ჩვენ ყველა ერთად ვიმუშავებთ, რომ შეთანხმების ყველა პუნქტი შესრულდეს.

# სალომე სამადაშვილი: „ბარამიძე დღეს ერთს ამბობს, მეორე დღეს — მეორეს“




— ბარამიძე ერთ დღეს ერთს ამბობს და მეორე დღეს — მეორეს, იმის მიხედვით, სააკაშვილი რაც ეტყვის. მე პოლიტიკოსების იმ რიცხვს არ მივეკუთვნები, ვინც იცვლის პოზიციას სხვისი პოზიციიდან გამომდინარე.

ამის შესახებ პოლიტიკოსმა სალომე სამადაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის მოწოდების შემდეგ, გიორგი ბარამიძის განცხადებას, რომ პარტია შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმოწერის საკითხზე იმსჯელებს.

— მე მაქვს ჩემი პოზიცია, მათ შორის საკმაოდ მკაცრი და კატეგორიული პოზიციები. პირველად არ ხდება, რომ „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებული პოზიცია მაქვს. საერთოდ ვერ ვხედავ პრობლემას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ან ნებისმიერი პარტიის შიგნით სხვადასხვა აზრი არსებობდეს, — განაცხადა სამადაშვილმა.

რაც შეეხება ნიკა მელიას საკითხს, სალომე სამადაშვილი ამბობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ შესთავაზა, თავად მიემართათ ევროპული ფონდისთვის გირაოს გადახდის თაობაზე, თუმცა ეს გზა არ მოეწონათ.

— ნიკა მელიას პოზიცია გასაგებია და ის სწორიც არის, რომ გირაოს არ იხდის. მაგრამ მე „ნაციონალურ მოძრაობას“ შევთავაზე განეხილათ, რომ თავად პარტიას მიემართა ევროპული ფონდისთვის, რომ, როგორც პარტია, არაა წინააღმდეგ, იმიტომ, რომ თავისთავად უცნაური და უპრეცედენტო ფაქტია, რომ ევროპული ფონდი იხდის გირაოს. ნიკას პოზიცია გასაგებია, მაგრამ ჩემი შეთავაზება იყო, რომ ჩვენ ავიღოთ ჩვენს თავზე ეს პასუხისმგებლობა, როგორც პოლიტსაბჭომ. პარტია არის კოლექტიური ორგანო. პატიმრობაშია ადამიანი და თუ ჩავთვლიდით, რომ მისი გათავისუფლება ჩვენი პოლიტიკური ბრძოლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შეიძლებოდა საკუთარ თავზე ასეთი პასუხისმგებლობის აღება. მაგრამ, გასაგებია, რომ ეს გზა არ მოეწონათ, — განაცხადა სამადაშვილმა.

სალომე სამადაშვილის განცხადებითვე, ბოიკოტმა საკუთარი თავი ამოწურა.

— ბოიკოტი პოლიტიკური ბრძოლის ისეთი ინსტრუმენტია, რომელსაც ხშირად მოჰყვება შეკრული პარტიების დაშლაც, არათუ ოპოზიციური ერთიანობის. ბოიკოტი არის მძიმე ინსტრუმენტი. ამ მძიმე ინსტრუმენტმა იმუშავა. მოგვიტანა შედეგები ნიკა მელიას თავგანწირვასთან ერთად. ბოიკოტმა თავისი თავი ამოწურა. გარკვეული შედეგი მოჰყვა და გასაგებია, რომ ამას მოყვებოდა აზრთა სხვადასხვაობა პარტიებს შორის. ეს მოხდა კიდეც, ჩვენ მაქსიმალურად თავიდან უნდა აგვეცილებინა ურთიერთდაპირისპირება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ამ შემთხვევაში ბრძნული იქნებოდა, რომ თავი შეგვეკავებინა ერთმანეთის კრიტიკისგან. მაგრამ ცეცხლი ნამდვილად არ გაუხსნია იმ მხარეს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ხელშეკრულებისთვის ხელი უნდა მოეწერა და თუ მეორე მხარე საკუთარ სისწორეში არაა საკმარისად დარწმუნებული, რომ ამაზე ისე ისაუბროს, რომ არ დაადანაშაულოს ის ხალხი, ვინც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ძალიან სამწუხაროა, — განაცხადა სამადაშვილმა.

# გიორგი რურუას პრეზიდენტი 27 აპრილს შეიწყალებს



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გამომდინარე იქიდან, რომ ოპოზიციონერი დეპუტატების პარლამენტში შესვლა 27 აპრილს იგეგმება, პრეზიდენტი, აქამდე გაკეთებული განცხადების თანახმად, შეწყალების აქტს იმავე დღეს გამოსცემს.

როგორც ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, შეწყალების აქტის გამოსაცემად პრეზიდენტის მიერ დასახელებული ორივე პირობა შესრულებულია.

„საქართველოს პრეზიდენტმა მისი 19 აპრილის განცხადებაში აღნიშნა: იმისთვის, რომ ქვეყანა და პარლამენტი ნორმალურ პოლიტიკურ რეჟიმს შეუდგეს და გამოწვევებს გაუმკლავდეს, მიიღო შეწყალების გადაწყვეტილება გარკვეული პირობებით.

იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა — მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ, შეთანხმებას მიაღწიეს და ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, ისევე, როგორც აშშ-ის ელჩმა ეს ფაქტი დაადასტურეს, ამგვარად პირველი პირობა შესრულებულია.

რაც შეეხება მეორე პირობას, პოლიტიკურმა პარტიებმა საჯაროდ მოაწერეს ხელი საბოლოო შეთანხმების დოკუმენტს და მათი შესვლა პარლამენტში 27 აპრილს პლენარულ სხდომაზე იგეგმება.

ეს ნიშნავს, რომ როგორც განცხადებაშია გათვალისწინებული, ერთი კვირის ვადაში შესრულდება მეორე პირობაც, მაშასადამე იმ დღესვე გამოიცემა პრეზიდენტის შეწყალების აქტი!“ — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც პრეზიდენტის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ვრცელდება.

# ბადრი ჯაფარიძე: „საქართველომ შესაძლებელია მოიპოვოს ევროკავშირის წევრობის შუალედური სტატუსი“



„ლელოს“ გენერალურმა მდივანმა ბადრი ჯაფარიძემ, რომელიც ბრიუსელში იმყოფება, განაცხადა, რომ საქართველომ შესაძლებელია ევროკავშირის წევრობის შუალედური სტატუსი მოიპოვოს.

მისი თქმით, ეს სტატუსი საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობების იქნება, რომელიც ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმარება.

— ბრიუსელში გახმოვანდა ახალი ინიციატივა, რომ შემოიღონ საგზაო რუკა ევროკავშირის წევრობისთვის (ისე, როგორც არსებობს საგზაო რუკა ნატოს წევრობისთვის) და ეს იქნება წინ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი, რომელიც გულისხმობს შუალედურ სტატუსს ევროკავშირის წევრობისთვის, რომელიც შესაძლებელია მიენიჭოს საქართველოს.

ამ სტატუსით საქართველოს ახალი შესაძლებლობები ექნება და ეს სრულად ახალი ეტაპია ქვეყნისთვის, რომელიც დაგვეხმარება უდიდესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაში და ნამდვილად შეუქმნის კეთილდღეობას საქართველოს მოქალაქეებს.

ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ვაჩვენოთ ჩვენს უერთგულეს მეგობრებს, რომ მათ ოპოზიციის სახით ჰყავთ საიმედო და ერთგული საყრდენი და საიმედო პარტნიორი, რომ ჩვენ შევძლოთ ძალიან საინტერესო იდეების განხორციელება და გაცილებით სწრაფად ვიმოძრავებთ ევროპაში ინტეგრაციის გზაზე, ვიდრე ეს წარმოგვედგინა, — განაცხადა ჯაფარიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მელიას უთანაბრებენ იმ პირებს, რომლებმაც მოქალაქეებს თვალები დასთხარეს“

## თამარ ჩხეიძე: „გახარიას პარტიისთვის მიცემული ხმები ივანიშვილის ან რუსეთის ხმები იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს პოლიტიკაში დინამიკური პროცესები მიმდინარეობს. ერთი მხრივ, საუბარია თანხმობის მიღწევასა და კრიზისის დამთავრებაზე, მეორე მხრივ, იხილება ის, თუ როგორ და რის ფასად მოაწერეს ოპოზიციონერებმა ხელი ევროკავშირის მედიაციით შემუშავებულ შეთანხმებას. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**

***– განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა ნაციონალური მოძრაობის ლიდერის, ნიკა მელიას ციხიდან გამოშვება. გირაო ფაქტიურად გამოირიცხა. მზადდება საკანონმდებლო ინიციატივა 1919 წლის 20 ივნისის მოვლენების თაობაზე, რომელიც პარლამენტმა უნდა მიიღოს. რას იტყვით?***

– სანამ ამნისტიის შემოთავაზებას შევეხები, მიღწეულ თანხმობაზე ვიტყვი. თავისთავად, შეთანხმება კარგია და მხარეები ამ თანხმობამდე უნდა მისულიყვნენ. სამწუხაროდ, შეიქმნა არასასურველი სიტუაცია.

***– ოპოზიციის შეუთანხმებლობას გულისხმობთ?***

– ამასაც. ჯერ ერთი, ყველაფერი უნდა მომხდარიყო თანხმობით, ერთიანად. ოპოზიციას დოკუმენტისთვის ხელი უნდა მოეწერა ურთიერთთანხმობით, ზოგიერთი პუნქტის შესწორებისა და დაზუსტების შემდეგ.

***– ხელმომწერებმა იჩქარეს?***

– ზოგიერთმა ოპოზიციონერმა გამოიჩინა სულსწრაფობა. ჯერ ერთი, დასაზუსტებელი იყო, რა ფორმით იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ასევე, უფრო გასაგებად უნდა გასაზღვრულიყო ვადამდელი არჩევნებისკენ მიმავალი გზები და ვადები. დასახელებული 43%-იანი შეთავაზება, ვადამდელის მიბმა ადგილობრივთან გაუგებარია. მედიატორმა შემოგვთავაზა ეს ვარიანტი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსებს უფლება არ ჰქონდათ შეეთავაზებინათ საკუთარი წინადადებები და დამატებები. ჩვენს პარტნიორებს ულტიმატუმები არ წამოუყენებიათ. ხელმოწერის პროცესის დროს მედიატორები ევროკავშირიდან არ იმყოფებოდნენ საქართველოში. იმ მომენტში პროცესში მონაწილეობდნენ ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩები. ისინი თბილისში მუშაობდნენ. არავინ არსად გარბოდა. ხელმომწერებს ჰქონდათ დრო. შეეძლოთ, ეთხოვათ ორი-სამი დღე და წარმოედგინათ თავიანთი პრინციპები. გარდა ამისა, არაკორექტული იყო დოკუმენტთან მიერთება მაშინ, როცა პოლიტიკური პარტნიორები გაერთიანებული ოპოზიციიდან ამას არ აკეთებენ. მსხვილი ძალები – ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო, ლეიბორისტული პარტია და თაკო ჩარკვიანის „კანონი და სამართალი“ ამაში არ მონაწილეობდნენ. ამით დაირღვა ოპოზიციური ერთობა. განსაკუთრებით გამოსაყოფია ნიკა მელიას საკითხი.

***– ეს ერთ-ერთი რთული საკითხი გამოდგა.***

– გირაოს რომ არ იხდიდა, იმიტომ წავიდა ნიკა მელია ციხეში. ამიტომ, გირაოზე საუბრის განახლება არასწორი იყო. ამ ყველაფერზე უარესი სხვაა. უნდათ ამნისტიის განხორციელება. ზოგადი ამნისტია რომ იყოს, არა უშავს. ლაპარაკია 2019 წლის 20 ივნისზე. ამნისტიის შემოთავაზებული ფორმა კატეგორიულად მიუღებელია. ამით ნიკა მელიას უთანაბრებენ პირებს, რომლებმაც მოქალაქეებს თვალები დასთხარეს. ზოგიერთი ხელმომწერი ოპოზიციონერი ამბობს, რომ მისთვის ბრძანების შემსრულებელი პოლიციელები თუ სპეცრაზმელები დამნაშავეები არ არიან. ჯერ ერთი, უკანონო ბრძანების გამცემიც დამნაშავეა და შემსრულებელიც. უნდათ, რომ ამნისტიამ ყველა მოიცვას. არადა, 20 ივნისს ადამიანებს თვალები დასთხარეს, სასტიკად გაუსწორდნენ ჟურნალისტებსაც. უსამართლოდ დაკავებული ნიკა მელიას გათანაბრება დამრბევებთან, დიდი უსამართლობაა, თვალების დამთხრელებისათვის ხელის დაფარება – დანაშაული.

***– გახარიაც მოიაზრება ამაში?***

– მოიაზრება. გიორგი ვაშაძე აცხადებს, ბრძანების შემსრულებელი პოლიციელები დამნაშავეები არ არიანო. ვაშაძემ იცის, რომ ტყუილს ამბობს. დოკუმენტში ამ თემაზე უნდა ჩაწერილიყო, რომ ამნისტია არ ეხება იმ მხარეს, რომელმაც ძალას გადაამეტა. ესეც უნდა დახვეწილიყო, სხვა პუნქტებიც განმარტებულიყო და მერე უნდა მოეწერა ხელი დოკუმენტზე მთელ ოპოზიციას. ეს იქნებოდა გამარჯვება.

***– ოპოზიციის წარმომადგენლები და მომხრეები იმედს ზემოხსენებულ 43%-ზე ამყარებენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ „ქართული ოცნება“ ადგილობრივ არჩევნებზე 43%-ს ვერ აიღებს და მას ხმებს წაართმევს გიორგი გახარიას ძალა.***

– გახარიას შეუძლია ხმების წართმევა „ქართული ოცნებისათვის“. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს იგივე „ოცნება“ გახდება. გახარიას პარტიისათვის მიცემული ხმები ივანიშვილის ან რუსეთის ხმები იქნება. ამიტომ, გახარიას მხრიდან ხმების წართმევა პირობითია. გახარია ვერ გახდება დასავლური დემოკრატიული ოპოზიცია. ის ან „ოცნებასთან“ ჯამში მიაღწევს შედეგს, ან – თუ რუსეთს „ოცნების“ ჩანაცვლება უნდა, „ოცნებას“ შეცვლის.



***– ჯამში ოპოზიციასაც შეუძლია შედეგის მიღწევა.***

– ცხადია. ამის იმედი არ დამიკარგავს. ბოლო დროს არასასურველი პროცესებია, ოპოზიცია გაიყო, თუმცა ხელი არ ჩამიქნევია. კარგი იყო, არჩევნების პუნქტი დახვეწილიყო. ასეც რომ დარჩეს, სამართლიანი არჩევნების პირობებში „ქართული ოცნება“ 43%-ს ვერ აიღებს. თუ ვერ აიღებს, დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. არჩევნები რომ არ გაყალბდეს, ოპოზიციას მოუწევს დიდი ბრძოლა და ხმების დაცვა. რასაკვირველია, საჭიროა ერთობის აღდგენაც. ეს არ არის შეუძლებელი. მანამდე მისაღებია საარჩევნო კანონმდებლობა. ამ მომენტში აქტუალურია „ამნისტიის შესახებ კანონპროექტი“. ნიკა მელია უნდა გათავისუფლდეს, მაგრამ ასეთი უსამართლო ამნისტიით, სადაც ნიკა მელიას უთანაბრებენ იმათ, ვინც ხალხს ანგარიში გაუსწორა და თვალები დასთხარა. ეს ხომ არის ხალხისა და ოპოზიციის ბრძოლისა და პრინციპების უარყოფა!

# „ოპოზიციას არა ჰყავს არც ლიდერი და არც პოლიტიკური გუნდი“

## კახა კუკავა: „დასავლეთს ისევ ერთ ივანიშვილთან ურჩევნია ჰქონდეს საქმე, ვიდრე ასი ოპოზიციური ლიდერის ერთობასთან“



**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია თავისუფალი საქართველოს თავმჯდომარე კახა კუკავა პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს? დიდი აურზაურია ოპოზიციაში. ზოგი შედის პარლამენტში, ზოგი კვლავ უარზეა. ნაცმოძრაობის ლიდერი, ნიკა მელია აცხადებს, რომ მას მისმა თანაგუნდელებმა და ზოგადად ოპოზიციამ უღალატა. რას იტყვით თქვენ და ზოგადად როგორ აფასებთ ამ პროცესს?***

– პირველ რიგში გეტყვით ჩემ პოზიციას, ჩვენი პარტია მოლაპარაკებებში საერთოდ არ მონაწილეობდა, ამიტომ თავისუფალი საქართველო ამ პასუხისმგებლობას ვერანაირად ვერ ავიღებთ. რაც შეეხება, რამდენად სწორად მიმაჩნია, მე ვფიქრობ, რომ შეთანხმების ხელმოწერა იმდენად სწორი და არასწორი საკითხი კი არ არის, ეს გარკვეულწილად იძულებითი ნაბიჯი იყო ოპოზიციის მხრიდან. იმიტომ, რომ ოპოზიციას ჰქონდა გარკვეული წარმატებები დიპლომატიურ ფრონტზე, არჩევნების შემდეგ მოყოლებულ პერიოდში, თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა ისიც, რომ ოპოზიციას ჰქონდა პრობლემები ქუჩაში. ამ ვითარებაში, როდესაც არა გაქვს შეტევის ძალა და რესურსი, ზავი ცუდი გამოსავალი არ არის. ოპოზიციას რომ გაეყვანა ხალხი ქუჩაში და ებრძოლა იქიდან, მაშინ ეს შეთანხმება, შესაძლოა, შეფასებული ყოფილიყო, როგორც ღალატი. დღევანდელ ვითარებაში კი ეს ცოტა გადაჭარბებულია. თუმცა, არის მეორე ამბავიც...

***– რომელი ამბავი?***

– ეს ეხება უკვე კონკრეტულად შეთანხმების პირობებს. მე ვფიქრობ, რომ ნამდვილად შეიძლებოდა უფრო მეტი პირობების მიღწევა, უფრო მეტი დათმობის მიღწევა ხელისუფლების მხრიდან, ამისი წინაპირობები იყო, ოპოზიცია რომ ყოფილიყო უფრო მოქნილი. ეს ვის უნდა დავაბრალოთ, კონკრეტულად რთული სათქმელია. მთელი ამ პერიოდის მანძილზე, რაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, პარალელურად მიმდინარეობდა შიდა პოლიტიკური ომი და შიდა პოლიტიკური კონკურენცია ოპოზიციურ პარტიებს შორის, რამაც სერიოზულად დააზარალა ეს დოკუმენტი. ხელისუფლებამ კი ეს კარგად გამოიყენა სათავისოდ.

***– ანუ ეს დოკუმენტი დიდად არ მოგწონთ?***

– მე შევთავაზე ბოლო შეხვედრაზე, შაბათს, ოპოზიციას ლეიბორისტული პარტიის ოფისში, რომ იქნებ გვეფიქრა კონტრშენიშვნების შეთავაზებაზე, თუმცა, ჩემდა გასაკვირად, ამ დოკუმენტმა არ გამოიწვია არანაირი დისკუსია იმ შეკრებაზე და მითხრეს კიდევაც, რომ ეს სხვაგან და სხვა ფორმატში განიხილება. ერთ-ერთმა მონაწილემ ისიც თქვა, რომ მასთან ყველა სიტყვა და ყველა მძიმე იყო შეთანხმებული ამ რედაქციის. ანუ გამოვიდა ისე, რომ ამ დოკუმენტზე იმუშავა ორმა-სამმა ოპოზიციურმა პარტიამ, ხოლო დანარჩენები გამოვედით ტელემაყურებლების როლში.

***– ორმა-სამმა პარტიამო, აცხადებთ. რამდენად ივაჭრა ოპოზიციის იმ ნაწილმა, ვინც მომხრე იყო?***

– ეს დეტალები არ ვიცი, ახლო მომავალში გამოჩნდება. უბრალოდ, მე არ მინდა ვთქვა, რომ ეს იყო მხოლოდ ერთი მხარის ბრალი ოპოზიციაში. ოპოზიციის პრობლემა არის ის, რაც იყო 2008 წლის ოპოზიციაში. ამ ოპოზიციას არა ჰყავს არც ლიდერი და არც პოლიტიკური გუნდი, რაც ყოველთვის ართულებს კრიტიკულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღებას. ეს რადიკალებსაც და არარადიკალებსაც ოპოზიციაში თანაბრად ეხება. ისრების გადატანა მხოლოდ ერთი მიმართულებით არასწორია. ეს კრიზისი განსაკუთრებით გაამწვავა ნიკა მელიას დაპატიმრებამ. იმიტომ, რომ ნიკა მელია იყო ადამიანი, რომელიც თუ არ იყო უკვე აღიარებული ლიდერი, ამაზე ჰქონდა უკვე ამბიცია. რამდენჯერმე, კრიტიკულ სიტუაციებში მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და წარმატებითაც.

***– დღეს ვხედავთ, რომ ის ძალიან შეურაცხყოფილია. რამდენად იზიარებთ მის პათოსს?***

– აბსოლუტურად ვიზიარებ მის პათოსს. რა თქმა უნდა, ეს არის შეურაცხმყოფელი, რაც კონკრეტულად მასთან მიმართებაში ხდება. ნამდვილად ამ მიმართულებითაც, როცა ვამბობ, რომ უკეთეს პირობებზე შეიძლებოდა შეთანხმება. რომ შევიდეთ ნიუანსებში, მაშინ მელიას განთავისუფლება უნდა ყოფილიყო წინაპირობა ამ დოკუმენტის.

***– ზოგადად ოპოზიციაში კი არა, მის საკუთარ პარტიაში გაიყო აზრი. სალომე სამადაშვილის გარდა, სხვა მსურველებიც ყოფილან, დოკუმენტზე ხელის მოწერის. ანუ პარტიაშივე ჰქონდა მას პრობლემა?***

– მეც ზუსტად მაგაზე ვსაუბრობ, რომ არის ეს პრობლემა. უახლოეს ისტორიაში ჩვენ გვახსოვს, რომ ხელისუფლება იცვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მკაფიოდ გამოხატული ოპოზიციური ალტერნატივა. ოპოზიციის ლიდერი, მეორე პირი, მესამე პირი. ის რაც ოპოზიციაში ხდება, ეს არის ძალიან ამორფული მასა. ჩვენ ვხედავთ, რომ მარტო ნაციონალურ მოძრაობაში კი არა, ყველა პარტიაში მიდის ეს ერთგვარი დაშლის პროცესი. სანამ ეს დუღილი არ დამთავრდება, მანამდე უნდა გვესმოდეს ძალიან კარგად, რომ რაც არ უნდა დაიწიოს ხელისუფლების რეიტინგმა, ეს ხელისუფლების შეცვლით მაინც არ დამთავრდება.

**„სააკაშვილი ცდილობს, საკუთარ პარტიაში ორი სხვადასხვა ფლანგის, სხვადასხვა გუნდის შეთანხმებას. თუ ნაციონალური მოძრაობა არ შევა პარლამენტში, მაშინ ის დაკარგავს არჩეული დეპუტატების სოლიდურ ნაწილს, ხოლო თუ შევა პარლამენტში, მაშინ ის დაკარგავს ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს“**

***– ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ნაციონალური მოძრაობა შევა თუ არ შევა პარლამენტში, ის მაინც წაგებულიაო. ქუჩაში დარჩენილი ნაცმოძრაობის მომავალი როგორი იქნება?***

– მე მგონია, რომ ეს უკვე გაითვალისწინა მიხეილ სააკაშვილმა და გამოაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობა ქუჩაში დარჩენას არ აპირებს.

***– მიხვდა სააკაშვილი, რომ მათთვის სასურველი სიტუაცია არ არის?***

– სააკაშვილი ცდილობს, საკუთარ პარტიაში ორი სხვადასხვა ფლანგის, სხვადასხვა გუნდის შეთანხმებას. იმიტომ, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა არ შევა პარლამენტში, მაშინ ის დაკარგავს არჩეული დეპუტატების სოლიდურ ნაწილს, ხოლო თუ შევა პარლამენტში, ყველანაირი წინაპირობების გარეშე, მაშინ ის დაკარგავს ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს. ამიტომაც, სააკაშვილი ცდილობს ახლა მანევრირებას, რომ ნაკლები დანაკარგებით გაიაროს ეს პროცესი. ამ პარტიას აქვს სერიოზული პრობლემები, უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება. რატომ გაკეთდა სააკაშვილის სასწრაფო ჩართვა?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ პარტია დამოუკიდებლად, მისი პირადი პოზიციის გარეშე გადაწყვეტილებებს ვერ იღებს. ხოლო ის ადამიანი, რომელიც დადიოდა ამ მოლაპარაკებებზე, სალომე სამადაშვილი, ის მოღალატედ გამოაცხადეს. ახლა ეს ხომ არის სერიოზული პრობლემა. თუ მოღალატე იყო, რას დადიოდა ექვსი თვე შარლ მიშელთან მოლაპარაკებებზე?!

***– მკაფიოდ ამოვიდა ზედაპირზე, რომ განსხვავებული აზრის მიუღებლობა აქვს ამ პარტიას. ჩაქოლეს სალომე სამადაშვილი.***

– ეს მარტო ამ პარტიას კი არ ჭირს, ეს არის ქართული პოლიტიკის ანი და ჰოე. ამ სენს მე ვებრძვი ძალიან დიდი ხანია, მაგრამ ამაოდ. ეს ბევრად უფრო ღრმა პრობლემაა, ვიდრე სამადაშვილის ჩაქოლვა. სიმართლე გითხრათ, არც სამადაშვილი მეცოდება, რადგან თვითონაც ასე მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში. ეს მძიმე პრობლემაა ქართულ პოლიტიკაში, გაცილებით უარესიც გვინახავს.

***– რა პროცესის დასაწყისი იყო ეს ყოველივე და რა მოლოდინი გაქვთ? ყველაფერს ადგილობრივი არჩევნები გამოაჩენს?***

– ეს დოკუმენტი ახლის დასაწყისი არ ყოფილა, პირიქით, ეს იყო ამ პროცესის დასასრული. ხოლო ადგილობრივი არჩევნები ნამდვილად იქნება იმის შანსი, რომ დაიბადოს ახალი ოპოზიცია. იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში, ვინ არის ლიდერი და ვინ არ არის ლიდერი, ამას ვერ წყვეტს ვერც პოლიტიკური საბჭო და ვერც კონკრეტული პარტიები და ვერც შარლ მიშელი. ამას წყვეტს ელექტორატი. თუ რომელიმე კონკრეტული ოპოზიციური ძალა მიიღებს ყველაზე მეტ პროცენტს, სწორედ ეს იქნება ამ კრიზისიდან გამოსავალი, რომ უთავო ოპოზიციას გაუჩნდება თავი. დასავლეთიც რომ დაგვიდგეს გვერდით, ოპოზიციაშიც უნდა გამოიკვეთოს ერთი კონკრეტული ლიდერი. ივანიშვილი მიდის, მაგრამ ხვალ ვინ მოდის?! ყოველთვის ასე იყო და ახლაც ასეა, დასავლეთს ისევ ერთ ივანიშვილთან ურჩევნია ჰქონდეს საქმე, ვიდრე ასი ოპოზიციური ლიდერის ერთობასთან. სანამ არ გამოიკვეთება კონკრეტული ლიდერი, მანამ არაფერი შეიცვლება.

# „ნიკა მელიას ღირსეული განთავისუფლების გარანტიები ჯერ არ გვაქვს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ამ ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობის პირების დაუსჯელობა მთავარი პრობლემაა“



**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ლაშა, შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერები გრძელდება. თქვენ არ უერთდებით?***

– არა, ჩვენთვის მიუღებელია ეს დოკუმენტი და არ ვაპირებთ მასზე ხელმოწერას. რბილად რომ ვთქვა, ამ დოკუმენტზე ხელის მოწერა აშკარად ნაჩქარევი იყო.

***– რატომ?***

– ერთიანობის შენარჩუნების გაგრძელების შემთხვევაში, გაცილებით უკეთესი დოკუმენტის მიღწევა იყო შესაძლებელი. პოლიტპატიმრების, მათ შორის, ნიკა მელიას ღირსეული განთავისუფლების გარანტიები ჯერ არ გვაქვს. ასევე, არ ჩანს არაფერი, რურუას გარდა სხვა პოლიტიკური ნიშნით დევნილთა მიმართ როგორი იქნება პროცესის გაგრძელება. ამ მიმართულებით არავითარი კონკრეტიკა არ არის. ვგულისხმობ ხაზარაძეს, ჯაფარიძეს, თუნდაც საკუთარ თავს. ასევე, მოქმედ პატიმარს გოგი წულაიას, გიორგი მუმლაძეს. რა ელოდება ამ საქმეებს, ეს ჩვენთვის უცნობია.

რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ამის მხოლოდ მინიმალური შანსია ამ დოკუმენტის მიხედვით. ადგილობრივი არჩევნების პლებისციტად გადაქცევა, არც ეს არის გამართლებული. თანაც, ყველანაირი პლებისციტი, სულ მცირე, 50% ბარიერს გულისხმობს და არა 40-43%-ს.

***– „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით პარტიებს მოუწოდებს, ამნისტია არ გავრცელდეს იმ სამართალდამცველებზე, რომლებმაც 20 ივნისს დანაშაული ჩაიდინეს.***

– ჩვენ ეს პოზიცია უკვე დაფიქსირებული გვაქვს. დიახ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს დანაშაულის ჩამდენ პირებზე ამნისტია. ყველა ტრაგედია სწორედ დაუსჯელობიდან მოდის. წინა ხელისუფლების მკვლელები და თვალისმთხრელები რომ არ დაისაჯნენ და კვლავ თანამდებობებზე რომ არიან პროკურატურაში თუ სასამართლოებში, ამიტომ მივიღეთ ახალი ტრაგედიები თუნდაც 20 ივნისის ღამეს. 26 მაისი, 7 ნოემბერი, კობა დავითაშვილზე თავდასხმისა და ცემის ფაქტი რომ არ გამოიძიეს და ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტეს, ამიტომ გვაქვს 20 ივნისი და გვყავს მაკო გომური და ზურა სულაშვილი. ამ ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობის პირების დაუსჯელობა მთავარი პრობლემაა. ეს ასე იყო ყოველთვის და სანამ ამ პრაქტიკას არ შევცვლით, მანამდე, სამწუხაროდ, ისევ დასთხრიან თვალებს და ისევ ესვრიან უდანაშაულო ადამიანებს.

მე, ზოგადად, არ ვიზიარებ პოზიციას, რომ მთავარი პრობლემა დამკვეთშია. ცხადია, დამკვეთი მნიშვნელოვანია, მაგრამ ვინც უკანონო ბრძანებას ასრულებს, ის არანაკლებ საშიში დამნაშავეა. მაღალჩინოსნის სრული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინააღმდეგი ვარ, როდესაც საქმე ეხება ისეთ დანაშაულს, როგორიც არის მკვლელობა, წამება, დასახიჩრება. შეიძლებოდა მაკო გომურისთვის ეკითხათ, ის მზად არის აპატიოს?!

***– თქვენთვის მიუღებელია ნიკა მელიასა და იმ პოლიციელის გვერდიგვერდ დაყენება?***

– რასაკვირველია. აღმაშფოთებელია და შეურაცხმყოფელია. რაღაც ჟესტიკულაციისთვის მელია ციხეშია და ადამიანის დამსახიჩრებელი თურმე ამნისტირებული უნდა იყოს. ამიტომ, ნიკა მელიასა და იმ პოლიციელების გვერდი გვერდ დაყენება აღმაშფოთებელია. ნიკა მელიას პოზიცია მართლაც ძალიან ღირსეულია. ვადამდელ არჩევნებს ისე უნდა მივაღწიოთ, რომ არავითარ ინდულგენციებს არ დავთანხმდეთ. პირიქით, დამნაშავეებმა, ეს იქნება ფინანსური, კორუფციული თუ სხვა დანაშაული, ყველამ თავისი წილი პასუხი უნდა აგოს. მხოლოდ ასე ავაშენებთ ახალ, სამართლიან სახელმწიფოს. 30 წელია ამ ქვეყანას ძარცვავენ და არ დასრულდა ეს პატიება. ეს უნდა დასრულდეს ერთხელ და საბოლოოდ, რომ კვლავ იგივე წრეზე არ ვიტრიალოთ.

***– ალეკო ელისაშვილი ამბობს, დარწმუნებული ვარ, ადგილობრივ არჩევნებს თამარ ჟვანია არ ჩაატარებსო. ამ კუთხით რა რეფორმას ელოდებით?***

– ამ დოკუმენტში ძალიან ბევრი საკითხი ბუნდოვანია. მათ შორის, ბუნდოვანია საარჩევნო კოდექსის რეფორმის, საარჩევნო გარემოს ცვლილების საკითხიც. სრულ პარიტეტთან ახლოსაც არ არის ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები კომისიებში. გარკვეული გაუმჯობესება არის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

რაც შეეხება თამარ ჟვანიას, რა თქმა უნდა, მისი ადგილი არ არის ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე. მან თანამდებობიდან გადადგომით უნდა აგოს პასუხი. თუმცა, ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ჟვანიას მოხსნა, რადგან ასეთი კრიმინალები ბევრი შეიძლება, სამწუხაროდ, მოიძებნოს. ამიტომ, მთავარია ცესკოს თავმჯდომარის შერჩევის პრინციპი, რომელიც ასევე არ იკითხება ამ დოკუმენტში. ამიტომ, ვამბობ, რომ ნაადრევი და ნაჩქარევი იყო ხელმოწერა ამ დოკუმენტზე.

მცირედი წინსვლა არის, მაგრამ ეს არანაირად არ არის საკმარისი. ამიტომ, ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ ყველა მიმართულებით. ბრძოლა გრძელდება როგორც ქუჩაში, ისე ზეწოლა უნდა გაგრძელდეს ადგილებზე აქციებით, ჩვენი პროტესტით.

# „ხელმოწერის ცერემონია ჩემთვის ძალიან დამამცირებელი იყო“

## ამირან სალუქვაძე: „ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. პასუხისმგებლიანი ნაბიჯი გადადგა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**

***– თუ რაიმეს მიაღწია საქართველომ, მხოლოდ ქართველი ხალხის სიბრძნითა და სისხლით, ოფლითა და მოთმინებით. თუ რაიმე დაკარგა, მხოლოდ პოლიტიკოსთა უგუნურებითა და მავნებლობით. ეს თქვენი სიტყვებია. ამ კონტექსტში როგორ აფასებთ პოზიცია-ოპოზიციის შეთანხმების დოკუმენტზე ხელმოწერას, რომელშიც ორი ფიგურანტი ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ არ მონაწილეობდა?***

– ეს პოსტი შეთანხმებამდე დაიწერა. მთლად გუშინდელ შეთანხმებას არ ეხება, მაგრამ ყველაფერს ეხება, რაც ხდებოდა ბოლო 6 თვის განმავლობაში. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არ მეთანხმებიან. თურმე ხალხის ბრალია, რომ ცუდ ხელისუფლებებს ვირჩევთ და ცუდ ხელისუფლებას ცუდი ოპოზიცია ჰყავს. მოსახლეობა ათეული წლებია არჩევანს აკეთებს იქიდან გამომდინარე, რაც ხვდება საარჩევნო უბანზე.

***– არჩევნებიდან არჩევნებამდე ვერ ვითმენთ.***

– არჩევნებიდან არჩევნებამდე ნორმალურ სოციალურ აქტივობას მიჩვეული ჯერ არ ვართ. როცა რაიმე საკითხი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ მოსწონს – დავუშვათ, კანონები, რეფორმები – ის უნდა გააპროტესტოს, მაგრამ ამ პროტესტს შემდეგ სათავეში უდგებიან ხოლმე პოლიტიკოსები. თუ რუსთაველის გამზირზე რამდენიმე ათასი აქტიური მოქალაქე დაინახეს, იმ წამსვე იწყებენ რევოლუციურ პროცესებს, შევარდნებს, მივარდნებს და საზოგადოების აქტიური პოზიციის მარგინალიზებას ახდენენ, რაც ძალიან ბევრჯერ ვიხილეთ თვეებისა და წლების განმავლობაში.

ასე რომ, მოქალაქეებს ვერ დავაბრალებ, თუ რაიმე ცუდ შედეგს ვიღებდით ახლა, წინა ხელისუფლების დროს თუ მანამდე. მოსახლეობა გაგებით ეკიდება ამ ყველაფერს და უკეთესი მომავლის მოლოდინითაა გამსჭვალული. ჩვენმა ხალხმა ეს ბევრჯერ დაამტკიცა.

***– ახლანდელი შეთანხმება მოგწონთ?***

– ამ შეთანხმებამ აჩვენა და დაამტკიცა, რომ მთლიანად ეს 6-თვიანი პროცესი თითიდან გამოწოვილი და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ჩვენთან იდეალური არჩევნები ტარდებოდა და ტარდება, მინახავს არჩევნები, როცა ბიულეტენებს წიხლებით ყრიდნენ ღიად, საჯაროდ. არავის ერიდებოდნენ. გვინახავს სპეცრაზმელების მიერ საარჩევნო უბნებიდან გატაცებული ურნები.

ხარვეზები ამ არჩევნებზეც იქნებოდა, მაგრამ ერთი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი, არ შეიძლება აღიარებული არჩევნებით ბოიკოტირება. ეს ძალიან ცუდი პრეცედენტია. ამას ხალხი ხვდება, პოლიტიკოსები ვერ ხვდებიან. ეს იგივეა, მსაჯმა ყველანაირად რომ გადაამოწმოს, პენალტი დანიშნოს, მაგრამ მეკარემ თქვას, კარში არ ჩავდგები, არ ვეთანხმებიო და ამის გამო გუნდმა მოედანი დატოვოს. მსგავსი რამ ხომ წარმოუდგენელია. როგორც წესი, ეს გუნდი ისჯება, დისკვალიფიკაციას აძლევენ.

***– ხომ იცით, ოპოზიცია ამბობს, არჩევნები გაყალბდაო.***

– მთელი დასავლეთი ამბობს, რომ არჩევნები ჩატარებული და აღიარებულია ყველა ნორმის დაცვით. მთელი მსოფლიო ეთანხმება. ყველა წამყვანი სახელმწიფოდან მოვიდა მილოცვები. ჩვენთან კი ამბობენ, ჩვენ არ ვცნობთო. ვინ არის ევროსაბჭო, ეუთო-ოდირი და ევროპული საბჭოს პრეზიდენტიო. ასეთი ფრაზაც კი ითქვა (მიხეილ სააკაშვილის): ევროპა არა ტოროლაო, ანუ მთლიანად პოლიტიკური ცხოვრებისა და საარჩევნო პროცესის მარგინალიზება წავიდა. ამიტომ საკითხი დადგა ასე – ან საქართველო გააგრძელებს ევროპულ გზას, ან ყველაფერი, რასაც აქამდე მივაღწიეთ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

ჩვენ მწირ ინფორმაციას ვაწვდით მოსახლეობას, რას ნიშნავს ევროინტეგრაცია. ყველას ჰგონია, აქ რაღაც დემოკრატიული რეფორმები ჩავატარეთ, მეტ-ნაკლებად საზოგადოება შევქმენით და მზად ვართ ევროპაში მისაღებად, მაგრამ უბრალოდ, არ გვიღებენ. ეს არის საკმაოდ შრომატევადი ტესტი მთელი რიგი უწყებებისთვის. შეგიძლიათ მოიძიოთ, რას აკეთებს თუნდაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად იმისათვის, რომ მთელი რიგი რეგულაციები ევროპულ სტანდარტებს მოერგოს.

მე მოვიძიე 2020 წლის ანგარიშები, მივმართე სამინისტროს და მომაწოდეს. ზღვა ღონისძიებებია ჩატარებული მარტო ერთ წელიწადში. მთელი რიგი რეგლამენტები, მთელი სტრუქტურებია აღდგენილი.

გახსოვთ, წინა ხელისუფლების დროს ე.წ. რეფორმებს რომ ატარებდნენ და სურსათის უვნებლობის სააგენტო და უამრავი სხვა სტრუქტურა, უბრალოდ, გააუქმეს. კორუფციას იწვევსო. კორუფცია კი არ აღმოფხვრეს, პირდაპირ სტრუქტურები დაშალეს. ამით გავაუქმეთ ის რეგულაციები, რაც გვქონდა საბჭოთა დროს და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე კონტროლი მთლიანად მოიშალა. ევროპას რომ მიადგები, ევროკავშირში მინდაო, ისინი გეუბნებიან, კანონები, რეგლამენტები, რეგულაციები მისაღები გაქვს. ევროპულ სტანდარტებზე რომ გადახვალთ, მერე მობრძანდითო.

***– მაგ სტრუქტურების გაუქმებამ რუსეთს საშუალება მისცა, ჩვენთვის ემბარგო დაეწესებინა ჩვენს პროდუქციაზე და შევევიწროებინეთ.***

– იმიტომ, რომ ჩვენთან ყველაფერი მოიშალა. ბოლოს მივედით იმ განცხადებამდე, რუსეთში ნაგავიც რომ შეიტანოო.... ნაგავი არ შედის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასეთი ღონისძიებები 2024 წლამდე აქვს გაწერილი. ანალოგიურია ეკონომიკისა და სხვა უწყებებში. გადახედეთ, თავდაცვას ნატოსთან ინტეგრაციის მხრივ, რამდენი რამ აქვს გაკეთებული და გასაკეთებელი.

ხალხმა არ იცის იმ ღონისძიებების შესახებ, რაც ტარდებოდა წლების განმავლობაში. შეიძლება, შიდა არასტაბილურობის გამო, ყველაფერი წყალში ჩაიყაროს, თქვან, ის ვერ გაგიგიათ, ხალხმა თუ აგირჩიათ, პარლამენტში უნდა შეხვიდეთო. მსგავსი რამ სადმე თუ მოხდა, ვერ მოვიძიე. შუა აფრიკის ქვეყნებში თუ იყო, არ ვიცი, მაგრამ ვერ ვნახე მაგალითი იმისა, როცა არჩეული დეპუტატები პარლამენტში არ შედიან.

***– და, რა ჰქვია ამას?***

– ეს პირდაპირ საბოტაჟია. საპარლამენტო სახელმწიფოში მთავარი სახელისუფლებო შტოს საბოტაჟია, ანუ ქვეყნის შიგნით საბოტაჟია. ამ საბოტაჟით საქართველოს გარეთ ჩვენს ქვეყანას რა ზიანიც მიადგა, პირდაპირ მავნებლობაა. ახლაც ყველამ დაინახა, რომ ამ შეთანხმებას არ შეუერთდა ნაცმოძრაობის დიდი ნაწილი, ევროპული საქართველოს 5 დეპუტატიდან 2 და ლეიბორისტების 1 დეპუტატი. დანარჩენები მივიდნენ იმ კონდიციამდე, რომ ხელი მოეწერათ. ძალიან კარგად გამოჩნდა, ვინ არის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სუბიექტი და ვინ არის 100%-ით ექსპრეზიდენტ სააკაშვილზე დამოკიდებული.



***– ხელისუფლების დათმობებს როგორ იწონებთ?***

– ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. გადაწყვეტილებას ვუწონებ, პასუხისმგებლიანი ნაბიჯია, მაგრამ პოლიტიკა ისე უნდა წარმართო, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს. ცერემონია, რომელიც გაიმართა, ჩემთვის ძალიან დამამცირებელი იყო. სუვერენული სახელმწიფო ვართ და, ფაქტობრივად, ხელისუფლება მარგინალმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა სუვერენული სახელმწიფოსთვის დამამცირებელ ვითარებაში ჩააყენეს.

რა გადაწყვიტეს ისეთი, რა არის ის ხუთი პუნქტი შეთანხმებაში, რომლის მიღწევა პოლიტიკოსებმა მოლაპარაკების მაგიდასთან ვერ შეძლეს და დიპლომატების ჩარევა გახდა საჭირო. შემდეგ გაფართოვდა მისია. მათ მოლაპარაკება არ სურდათ. ეს იყო პირდაპირი საბოტაჟი. ახლანდელი შეთანხმებით, პოლიტიკური პროცესები პარლამენტში გადაინაცვლებს. თუმცა, იქ ზოგი ისეთი პოლიტიკოსია, წარმოდგენა არ აქვს, პარლამენტში რა უნდა აკეთოს. იმედია, კონსტრუქციულად ისაქმიანებენ.

მოგეხსენებათ, წინა პარლამენტშიც ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“ წელიწადზე მეტ ხანს ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ. მათ ასეთი ტრადიცია აქვთ, პერიოდულად ბოიკოტს აცხადებენ, მაგრამ ხელფასებს იღებენ. იმის ნაცვლად, რომ კანონებზე იმუშაონ და ხელისუფლებაზე უკეთესი კანონები შექმნან, მუდმივი საბოტაჟით არიან დაკავებული.

მოგიწოდებთ, მოსახლეობას გავაგებინოთ, რას საქმიანობენ პოლიტიკური პარტიები პარლამენტში, ეს ინფორმაცია ღიაა. შეგიძლიათ ხალხს მიაწოდოთ ინფორმაცია, რომელმა პარტიამ, რომელმა პოლიტიკოსმა რამდენი საკანონმდებლო აქტი ან ცვლილება მოამზადა, როგორ მუშაობენ ისინი პარლამენტში. იმ მიზეზებს ვერ მივიღებ, ჩვენს მომზადებულ კანონპროექტებს უმრავლესობა არ იღებსო. იმ კანონპროექტების ექსპერტიზა ჩაატარეთ, რა ხარისხის საკანონმდებლო ინიციატივებით გამოდიან. მოვალეობის მოხდის მიზნით შეაქვთ რაღაც ინიციატივები, ხშირად სპეციალურად მარგინალური, რომ იკინკლაონ. წინა მოწვევის პარლამენტის სტატისტიკა და ის საკანონმდებლო ინიციატივები რომ ნახოთ, რითაც ოპოზიცია შევიდა პარლამენტში, დარწმუნდებით, რომ ისინი თავის მოვალეობას არ ასრულებენ. უბრალოდ, გარანტიას იქმნიან. ჰგონიათ, ყველაფრის კრიტიკა და ხელისუფლებასთან, უმრავლესობასთან კრიჭაში ჩადგომა, ოპოზიციის ამოცანაა.

***– სხვა მიდგომა ოპოზიციის მხრიდან აქამდე არც გვინახავს.***

– ოპოზიციამ უნდა დაგვანახოს ხელისუფლების შეცდომები, მანკიერი მხარეები და გამოსწორების გზები, უკეთესი დღის წესრიგი, უკეთესი კანონები, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ. თუ გახსოვთ, წინა ოთხი წლის განმავლობაში რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს გამოეტანოს კანონი და ეთქვას, აი, ჩვენ ძალიან მაღალი სტანდარტით მოვამზადეთ საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ამა და ამ სფეროში გააუმჯობესებდა მოსახლეობის ცხოვრებას, კეთილდღეობას, ან გააუმჯობესებდა ეკონომიკურ მახასიათებლებს. ასეთი შეთავაზებები მუდმივად უნდა იყოს ოპოზიციის მხრიდან, რასაც ვერ ვხედავ. ამიტომ პარლამენტში შესვლით მათი მხრიდან რაიმე სიკეთეს არ ველოდები.

***– მიღწეული შეთანხმებით საქართველომ გაიმარჯვაო. „ოცნებამ“ ამ შეთანხმებისთვის ბევრი რამ დათმო. იგივე ხუთი კომიტეტის თავმჯდომარეობა. რა უნდა გააკეთოს „ოცნებამ“ პარლამენტში, თუ ხუთი წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარეობას ოპოზიციას უთმობს? ოპოზიციისთვის მიღწეული დათმობები საკმარისი არ არის. ბობოხიძემ თქვა, ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს მოთმინება არ ეყო, თორემ უფრო მეტს მივიღებდითო. ერთიანობის შემთხვევაში, ოპოზიცია მეტს მიაღწევდა?***

– ანუ უნდათ, უმცირესობამ მთელი პარლამენტი მიიღოს, ხომ?!

არ ვიცი, უტიფრობის რა დონეა. ეს ხომ აბსურდია?! ფეხბურთს რომ შევადაროთ, ეს იგივეა, წაგებულმა მეტი რომ მიიღოს და ჩემპიონატის თასი ერგოს. მაშინ რატომ უნდა მოიგოს? წააგებ, მიიღებ კომიტეტებს. გამოხვალ ყველაზე მარგინალური პროგრამით, მიიღებ ყველა კომიტეტს. თუ ბოლო ადგილზე გახვალ, ყველა კომიტეტს იღებ, თუ წინ წახვალ, ნაკლებ კომიტეტს ჩაიბარებ. ეს არის მათი ლოგიკა? საზოგადოებას დასცინიან. ჩვენ დაგვცინიან. ან უწიგნურები ვგონივართ, როცა ასეთ განცხადებას გამოცდილი პოლიტიკოსი აკეთებს. არ ვიცი, ბობოხიძე რამდენი მოწვევის დეპუტატია.

***– ბობოხიძეს, 1991 წლიდან მოყოლებული, ყოველთვის დესტრუქციული როლი ჰქონდა.***

– მაგ ისტორიას აღარ ჩავუღრმავდები. მას დადებითი თვისებებიც აქვს. პიროვნულად არ ვაფასებ, მთელი ეს ოპოზიციური ფლანგი წლების განმავლობაში საზოგადოებას დასცინის. ცალკე ხელისუფლების მიმართ გვაქვს პრეტენზიები. ცალკეა ოპოზიციური ძალა, რომელიც მუდმივად ქვეყნის ამოყირავებაზეა ორიენტირებული. საპარლამენტო რესპუბლიკაში 5 კომიტეტის ოპოზიციისთვის ჩაბარება, რა თქმა უნდა, დათმობაა. თქვან, სულ რამდენი კომიტეტია და რამდენი მიიღეს. რატომ უნდა მიეღოთ? თან საკვანძო კომიტეტებია. ხელისუფლების გადანაწილება ნორმალური იქნებოდა, მოადგილეების, კომისიების წევრების ადგილები ოპოზიციას მეტად რომ მისცემოდა და არა – კომიტეტების ჩაბარება.

# პოლიციამ 10 ნარკორეალიზატორი დააკავა

## ამოღებულია 7 კილოგრამამდე ჰეროინი

პოლიციამ ფონიჭალაში, წითელი ხიდის მაგისტრალზე და ლილოში 10 ნარკორეალიზატორი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის გიორგი ლილუაშვილის განცხადებით, პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ფული და მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 10 პირი დააკავეს.

1988 წელს დაბადებულ რ.ა.-ს, 1973 წელს დაბადებულ ჰ.ფ.-ს, 1996 წელს დაბადებულ ე.ე.-ს, 1971 წელს დაბადებულ რ.ე.-ს, 1985 წელს დაბადებულ გ.თ.-ს და 1996 წელს დაბადებულ ი.ჯ.-ს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება ედებათ ბრალად.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის" საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ფული და მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო.



რაც შეეხება 2001 წელს დაბადებულ ი.ი.-სა და 1988 წელს დაბადებულ გ.ა.-ს, სამართალდამცველებმა ისინი წითელი ხიდის ავტომაგისტრალზე იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი" ავტომანქანით გადაჰქონდათ. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 6 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი" ნივთმტკიცებად ამოიღო.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილით, ასევე, მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს" – აღნიშნავს გიორგი ლილუაშვილი.

სამართალდამცველებმა თბილისი-რუსთავი-წითელი ხიდის საავტომობილო მაგისტრალზე სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირადი ჩხრეკა ჩაუტარეს 1967 წელს დაბადებულ ე.ფ.-ს, რომლის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი" და ფული.

პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ ერთი პირი დააკავა. ბრალდებულის სახით დაკავებულია 1960 წელს დაბადებული ზ.ბ., რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოღებულია „ჰეროინის" შემცველი 1 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# აფგან მუხთარლის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა

აზერბაიჯანელ ჟურნალისტს, აფგან მუხთარლის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა. როგორც ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს" იურისტი არჩილ ჩოფიკაშვილი აცხადებს, მისი შუამდგომლობა პროკურატურამ დააკმაყოფილა და ამასთან, საქმის კვალიფიკაცია დაზუსტდა.



აფგან მუხთარლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები განახლდა მას შემდეგ, რაც 2021 წლის 7 აპრილს აფგან მუხთარლი გერმანიიდან თბილისში ჩამოვიდა.

აფგან მუხთარლი, მისი დამცველის, არჩილ ჩოფიკაშვილის თანხლებით, პროკურატურაში 9 აპრილს გამოიკითხა.

მუხთარლიმ გამოკითხვისას განმარტა, რომ გატაცებამდე მისი და სხვა აზერბაიჯანელი დევნილების მიმართ, საქართველოში ხორციელდებოდა მუდმივი თვალთვალი და მიყურადება. მან გამოძიებას წარუდგინა იმ ორი პირის ფოტოსურათები, ვინც მას საქართველოში უთვალთვალებდა და, დიდი ალბათობით, სწორედ ამ ადამიანების მეშვეობით მომზადდა და დაიგეგმა მუხთარლის თბილისიდან გატაცება. გარდა ამისა, მუხთარლიმ დაასახელა ის აზერბაიჯანელი მაღალჩინოსნებიც, ვინც მონაწილეობდნენ მისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში.

საგამოძიებო ექსპერიმენტი 15 აპრილს ჩატარდა, მოხდა ჩვენების ადგილზე შემოწმება, რომლის დროსაც აფგან მუხთარლიმ თავად აჩვენა გამომძიებლებს თბილისიდან მისი გატაცების ადგილი და ლაგოდეხის მიმართულებით გადაადგილების მარშრუტი.

გურჯაანის რაიონში დაზარალებულმა გამომძიებლებს უჩვენა ადგილი, სადაც ის, უკვე თვალებახვეული, გადასვეს სხვა მანქანაში, რომლითაც გადაიყვანეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე და გადასცეს აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებს ნეიტრალურ ზონაში, ლაგოდეხში მდებარე გამშვებ პუნქტზე.

იურისტი არჩილ ჩოფიკაშვილი მიიჩნევს, რომ მუხთარლის საქმეზე გამოძიების კვალიფიკაცია კვლავაც დასაზუსტებელია და უნდა მოიცვას სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები, ასევე 154-ე მუხლის მეორე ნაწილი.

– ნათელია, რომ აფგან მუხთარლის მიმართ ადგილი ჰქონდა თავისუფლების უკანონო აღკვეთას დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, რამაც გამოიწვია სხვა მძიმე შედეგი. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, ძალადობით და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – აცხადებს არჩილ ჩოფიკაშვილი.

# „შევეცდები, მკვდარი სხეულები დავხატო, რომლებიც დღეს მოვკალი"

## რა წერია დაკარგული მარიამ ბურჭულაძის წერილში

ოზურგეთიდან დაკარგულ 17 წლის გოგოს, მარიამ ბურჭულაძეს, გურიასა და აჭარაში მე-3 დღეა ეძებენ. ის ორშაბათს სკოლაში მივიდა, თუმცა სახლში აღარ დაბრუნებულა. ნაპოვნია წერილი, ინგლისურ ენაზე დაწერილი ინიციალებით, რომლის ზუსტი შინაარსიც უცნობია, მას პოლიცია იძიებს.

„შესაძლოა წამლები მივიღო, ეს იმუშავებს, შევეცდები, მკვდარი სხეულები დავხატო, რომლებიც დღეს მოვკალი. შურისძიება ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია, მაგრამ ვინ ჩაკლავს იმ ხმებს, რომლებიც ჩემს თავშია და რომლებიც ცოცხლად მჭამენ" – წერს გოგონა.

კლასელები ამბობენ, რომ ის ნაკლებად კომუნიკაბელური იყო.

– გამოკითხვაზე პირველივე ღამეს ვიყავი, ბოლოს ისტორიის მასწავლებელმა ნახა. იმ დღეს დილით ვნახე, მხოლოდ მე და მან ვისაუბრეთ გაკვეთილის დაწყებამდე, წერა ჰქონდა დასამთავრებელი, კი, მასწავლებელო, დავწერო, ლამაზად დაწერა. მე-3 გაკვეთილის დაწყებამდე ვნახე, მითხრა, რომ ჩემ დას უნდა დაველოდო, სკოლის ავტობუსს გავყვეო. იმ დღეს ტელეფონი არ შემინიშნავს. პირიქით, უფრო კარგ ხასიათზე იყო, – აცხადებს კლასის დამრიგებელი.

დამრიგებელი ამბობს, რომ დაკარგულს კონფლიქტი არავისთან ჰქონია.

მარიამ ბურჭულაძე სოფელ გუმში ცხოვრობს, ბოლოს მოზარდი ვიდეოკამერებმა ოზურგეთი-ქობულეთის ავტომაგისტრალზე ფეხით მიმავალი დააფიქსირეს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეს შემდეგ კი გოგონას კვალი იკარგება.

# პროკურატურამ ახალდაბაში მკვლელობის ფაქტზე დაკავებულს ბრალდება წარუდგინა

პროკურატურამ, სოფელ ახალდაბაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს განზრახ მკვლელობისთვის ბრალდება წარუდგინა.

„საქართველოს პროკურატურამ, სოფელ ახალდაბაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე, არაერთგზის ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვის და ტარების მუხლებით ზ.მ.-ს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 19 აპრილს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, განზრახ მკვლელობის მომზადებისთვის ნასამართლევმა ზ.მ.-მ, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ვ.ნ.-ს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად ვ.ნ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ზ.მ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით (არაერთგზის ჩადენილი განზრახ მკვლელობა, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება" – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

თბილისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული თ.ი. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 19 ივლისს, თბილისში ვაზისუბნის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე, თ.ი.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, კ.თ.-ს გულმკერდის და ფეხის არეში დანით ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად კ.თ. იმავე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა თ.ი. 19 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე სასამართლომ თ.ი. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.344 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.344 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 104 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1.107 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 133 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.



პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

# ქუთაისის კლინიკის მე-5 სართულიდან პაციენტი გადახტა

ქუთაისში, სახელმწიფო კლინიკის მე-5 სართულიდან 64 წლის პაციენტი გადმოხტა.

მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, პაციენტი კორონავირუსით ინფიცირებული იყო და კლინიკაში შვილთან ერთად, 5 დღის განმავლობაში მკურნალობდა. კლინიკის მენეჯერი ამბობს, რომ მამაკაცს ფსიქიკური პრობლემები არ აღენიშნებოდა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# „ყურსასმენები ეკეთა, კლასელებმა ქვები ესროლეს, მაგრამ ვერ გააგებინეს"

## ზესტაფონში ირაკლი თოფაძე მატარებელმა გაიტანა

ზესტაფონში მომხდარ შემთხვევას 17 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა. მას მატარებელი დაეჯახა, რის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ აჯამეთში 20 აპრილს მოხდა.

გარდაცვლილი ახალგაზრდა ირაკლი თოფაძეა. იგი აჯამეთში ცხოვრობდა და შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც მასწავლებლიდან ბრუნდებოდა.

– ჭოგნარიდან მოდიოდა. კლასელებთან ერთად იყო. ყურსასმენები ეკეთა და მატარებლის ხმა ვერ გაუგია. კლასელები უკან მოყვებოდნენ და მატარებელი რომ დაუნახავთ, ქვებს ესროდნენ თურმე, რომ ენიშნებინათ, მაგრამ ვერ გააგებინეს, – ყვება ადგილობრივი.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის მე-4 ნაწილით დაიწყო, რაც რკი-ნიგზის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამია-ნის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ლაგოდეხში ტრაილერი მანქანას დაეჯახა

ლაგოდეხში ტრაილერი მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა, გარდაიცვალა 1 ადამიანი.

შემთხვევა სოფელ აფენში მოხდა.

შემთხვევის შედეგად დაშავებული 3 ადამიანი „არქიმედეს" კლინიკაშია მოთავსებული. ადგილზე პოლიცია და სამაშველო ჯგუფები მუშაობდნენ. მომხდარის მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

2021, 22 აპრილი, №69

# „საკანში ჩონჩხი დაბარბაცებს“

## ნავალნის მხარდამჭერ აქციებზე 200 ადამიანი დააკავეს



გუშინ, 21 აპრილს, რუსეთის მასშტაბით ათობით ქალაქში ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის მხარდამჭერი აქციები გაიმართა, სადაც პოლიციელებმა დემონსტრანტები დააკავეს.

აქტივისტები პოლიტიკოსის განთავისუფლებას და მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევას ითხოვენ.

რუსეთის 43 ქალაქში 200 ადამიანი დააკავეს. დაკავებები ზოგ ადგილზე აქციების დაწყებამდე განხორციელდა.

ნავალნის მხარდასაჭერ მიტინგებზე დაკავებულები არიან ხაბაროვსკში, კემეროვოში, ნოვოკუზნეცკში, ტომსკში, ბარნაულში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და სხვა ქალაქებში.

პოლიციამ ქალაქ მაგადანში 8 ადამიანი დააკავა.

ხელისუფლების პოზიციით, აქციები უკანონოა. აქციების პარალელურად, სხვადასხვა ქალაქში მობილიზებული იყო პოლიცია. პატიმრობაში მყოფი ალექსეი ნავალნი მარტის ბოლოდან შიმშილობს. მისმა ექიმმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ პოლიტიკოსის ჯანმრთელობის მდგომარეობა შიმშილობის მესამე კვირაში სწრაფად უარესდება და ის, შესაძლოა, სიკვდილის პირას აღმოჩნდეს.

ალექსეი ნავალნი შიმშილობის ფონზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წერს და აცხადებს, რომ ბარბაცით მოსიარულე ჩონჩხს დაემსგავსა.

„გაგეცინებათ, ახლა რომ მნახოთ, საკანში ჩონჩხი დაბარბაცებს. ახლა ჩემით იმ ბავშვების შეშინება შეიძლება, რომლებიც საჭმლის ჭამაზე უარს აცხადებენ: მაშენკა, თუ ფაფას არ შეჭამ, იმ ძიას დაემსგავსები, დიდი ყურებით, თავის ქალაზე გადაკრული ტყავითა და ჩაღრმავებული თვალებით, – არა დედა, არა, მე ყველაფერს შევჭამ და დამატებასაც მოვითხოვ“ – წერს ნავალნი „ინსტაგრამზე.“

„გამეცინა, როდესაც წავიკითხე ციტატები, რომ კალიუმის ისეთი დონით, რომელიც ჩემს ანალიზებშია, ან რეანიმაციაში, ან კუბოში უნდა ვიყო. მაგრამ არა, მე ასე ადვილად ვერ წამიყვანთ. „ნოვიჩოკის“ შემდეგ არც კალიუმის არ მეშინია“ – წერს პოლიტიკოსი.

ამასთან, ის მხარდამჭერებს მადლობას ეუბნება მის მიმართ გამოჩენილი თანადგომისთვის.

„წუხელ ჩემთან ადვოკატი შემოვარდა ზუსტად 5 წუთით და მიამბო თქვენი დიდი მხარდაჭერის შესახებ. რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც. ეს მომენტი ძალიან ძვირფასი იყო. დიდი მადლობა თქვენ. ისეთებისთვის, როგორიც მე ვარ, რომელსაც არაფერი აქვს წყლიანი ჭიქის გარდა, იმედი და საკუთარი გადაწყვეტილებების რწმენა ძალიან ბევრს ნიშნავს. ასეა რუსეთშიც და მსოფლიოშიც, ციხეშიც და თავისუფლებაზეც. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა და სოლიდარობა. ეს რთული არაა, მაგრამ უსამართლობისა და უკანონობის წინააღმდეგ უკეთესი იარაღი არ არსებობს“ – წერს კრემლის კრიტიკოსი.

# რუსეთმა 10 ამერიკელი დიპლომატი გააძევა

რუსეთმა, მოსკოვში ამერიკის საელჩოს 10 თანამშრომელი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

21 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს აშშ-ის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ბარტ გორმანი, რომელსაც გადასცეს ნოტა მოსკოვში აშშ-ის საელჩოს 10 თანამშრომლის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების შესახებ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიღებული ზომა წარმოადგენს „სარკისებურ პასუხს“ ამერიკული მხარის მიერ განხორციელებულ მტრულ ქმედებებზე ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს და ნიუ-იორკში რუსეთის გენერალური საკონსულოს თანამშრომლების მიმართ, რომლებიც პერსონა ნონ გრატად „უსაფუძვლოდ გამოაცხადეს.“

# პოლიციელი შოვინი ფლოიდის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს

მინეაპოლისის სასამართლომ ყოფილი პოლიციელი დერეკ შოვინი ფერადკანიანი მამაკაცის, ჯორჯ ფლოიდის მკვლელობაში დამნაშავედ ცნო.

12-მა ნაფიცმა მსაჯულმა 45 წლის შოვინი სამივე ბრალდებაში – მეორე ხარისხის მკვლელობა, მესამე ხარისხის მკვლელობასა და გაუფრთხილებლობით მკვლელობა – დამნაშავედ ცნო.

მას 40 წლამდე ვადით პატიმრობა ემუქრება.

გადაწყვეტილებას სასამართლოს შენობასთან შეკრებილი ასობით ადამიანი საზეიმო შეძახილებით გამოეხმაურა.

გასულ წელს გავრცელებულ ვიდეოში ასახულია 46 წლის ფერადკანიანი მამაკაცის, ჯორჯ ფლოიდის პოლიციის მიერ დაკავების ვიდეო. ვიდეოში ჩანს, რომ დერეკ შოვინი ხელბორკილებდადებულ მიწაზე გაწოლილ ფლოიდს 9 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში მუხლს კისერზე აჭერს. ისმის დაკავებულის ხმა: „ველარ ვსუნთქავ!“

ამ ინციდენტის დროს ფლოიდი შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა. მის გარდაცვალებას აშშ-ში მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### სპორტი

# დინამომ ლიგა წყალს გაატანა



თბილისის დინამომ ჩემპიონთა ლიგის 8 საუკეთესოს შორის მოსახვედრად ბევრი იბრძოლა. ეს შანსი იმის შემდეგ გაჩნდა, რაც დეიან სტანოიევიჩის გუნდმა ჯგუფური ეტაპის მე-3 წრის პირველი მატჩი ჩერნოგორიულ ჰერცეგ ნოვის იადრანს – 13:10 მოუგო.

თავიდან თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, გადამწყვეტი გამოდგა მესამე მეოთხედი, სადაც დინამოს უპირატესობა უკვე აშკარა იყო და 10:6 დაწინაურდა. იადრანმა ბოლო მეოთხედში გაიბრძოლა, სხვაობა 3 გოლამდე შეამცირა, მაგრამ სულ ეს იყო – 13:10.

გოლები ბორის ვაპენსკიმ (2), რეზი იმნაიშვილმა (2), გიორგი მაგრაქველიძემ (2), დუშან ვასიჩმა (2), ანდრია ბითაძემ (2), ვალიკო დადვანმა და მარკო იელაჩამ (2) გაიტანეს.

დინამო მეორე მატჩში უკვე გერმანულ ჰანოვერს დაუპირისპირდა და გამარჯვების შემთხვევაში შანსი ჰქონდა ჩემპიონთა ლიგის 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრილიყო.

დინამომ სამი მეოთხედის მანძილზე ყველაფერი გააკეთა საამისოდ, მაგრამ ბოლო პერიოდში შრომა წყალში ჩაყარა და უძლიერეს გუნდებს მიღმა დარჩა.

ვასპო ჰანოვერი ამ მატჩი ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ქართული კლუბი მედგრად იდგა. პირველი და მეორე მეოთხედი ფრედ დასრულდა და გუნდები დიდ შესვენებას თანაბარი ანგარიშით შეხვდნენ – 3:3.

მესამე მეოთხედი ჩვენი იყო – დინამო 6:3 დაწინაურდა, მაგრამ მეტოქეს ერთი ბურთის გატანის საშუალება მისცა და დასკვნით მეოთხედს ორბურთიანი ჰანდიკაპით შეხვდა.

არც ეს იყო საშიში, რადგან ამ უპირატესობის შენარჩუნება რთული საქმე არ არის, მაგრამ 8 წუთში ბურთის გატანა ვერ მოვახერხეთ, მეტოქეს კი, ამის უფლება სამჯერ მივეცით და თითქმის მოგებული თამაში 6:7 დავთმეთ.

# ევროპა ტოკიოს გარანტიაა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, თომას ბახის თქმით, ფეხბურთში ევრო 2020-ის წარმატებით და უსაფრთხოდ ჩატარება თავდაჯერებულობას შემატებს ტოკიოს ოლიმპიური თამაშებს.

**თომას ბახი:**

– ბოლო თვეებში არაერთი მსოფლიო ჩემპიონატის და მსოფლიო თასის ეტაპის ჩატარება იმის დასტურია, რომ არსებული შეზღუდვების პირობებშიც კი შეიძლება სპორტული შეჯიბრებების უსაფრთხოდ და წარმატებით ორგანიზება.

საერთაშორისო ფედერაციებმა 2020 წლის სექტემბრიდან 340-ზე მეტი მსხვილი სპორტული ღონისძიება ჩაატარეს. ამ შეჯიბრებებში მთლიანობაში 41 ათასზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა. ყველგან მოქმედებდა მკაცრი პროტოკოლები, ტესტირებები. მივიღეთ უტყუარი მტკიცებულება, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფით შესაძლებელია საერთაშორისო მონაწილეთა დიდი რაოდენობით მასშტაბური სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. ამასთან, ეს ყველაფერი მოხდა ვაქცინაციასთან წვდომის გარეშე. ამიტომაც, ევრო 2020-ის წარმატებით და უსაფრთხოდ ჩატარება ტოკიოს თამაშებისთვის რწმენას შეგვმატებს. ამისთვის უეფას და ყველა ფედერაციის მადლიერები ვართ.

შეგახსენებთ, რომ კოვიდ 19-ის პანდემიის გამო გადავადებული ტოკიოს ოლიმპიური თამაშები ჩატარდება წლეულს 23 ივლისი – 8 აგვისტოს ჩათვლით.

ასევე, ერთი წლით გადავადებული ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართება 2021 წლის 11 ივნისი – 11 ივლისის ჩათვლით.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

# შიშველი შეყვარებულები გამტაცებლებს გაეკიდნენ და მანქანა დაიბრუნეს



შიშველი შეყვარებულები გაეკიდნენ მძარცველებს, რომლებიც მათი ავტომობილის გატაცებას ცდილობდნენ. აღნიშნული შემთხვევა დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ კუნუნარაში მოხდა.

ორშაბათს, 12 აპრილს, ღამის ორ საათზე, გრეგორი მეი და მისი შეყვარებული საია ლინაჯერვი თავიანთი ავტომობილის ძრავის ამუშავების ხმამ გააღვიძა. მეის თქმით, მან შენიშნა ორი მოზარდი, რომლებიც მათი პიკაპის გატაცებას ცდილობდნენ. იმისთვის, რომ მძარცველებისთვის მიმალვის საშუალება არ მიეცათ, შეყვარებულები საწოლიდან წამოხტნენ და გაეკიდნენ.

– სრულიად შიშვლები გამოვცვივდით გარეთ და დავინახეთ, თუ როგორ მიდიოდნენ. ჩვენ მათ გავეკიდეთ, – განმარტა მეიმ.

მამაკაცი ავტომობილს დაეწია და მის საფეხურზე შეხტა. მან მძღოლის კარი გამოაღო და საჭესთან მჯდომი გამტაცებელი შეაშინა. გამტაცებელმა სატერფულს ფეხი დააჭირა იმის იმედით, რომ სიჩქარის მომატებით გაქცევას მოახერხებდა.

– ისინი სხვა მანქანას დაეჯახნენ, შემდეგ – ნაგვის კონტეინერს, ბოლოს კი – ღობეს. ისინი ცდილობდნენ ჩემს ჩამოგდებას და თავიდან მოშორებას, მაგრამ მანქანის სალონში შევაღწიე, მძღოლი გავთიშე და ავტომობილი გავაჩერე, – განაცხადა ავსტრალიელმა.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად ავტომობილი დაზიანდა. მოზარდები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. თავად მეიმ ხელზე მსუბუქი დაზიანება მიიღო.



# ციხის ზედამხედველს პატიმართან რომანის გაბმა პატიმრობად დაუჯდა

ინგლისის ჩრდილოეთ იორკშირის საგრაფოს დასახლება საუერბის მკვიდრმა ციხის ზედამხედველმა ქალმა რომანი გააბა პატიმართან და ათი თვით თავი საპატიმროში ამოყო.

2019 წელს სკარლეტ ელდრიჩს, რომლის მშობლები პოლიციელებად მსახურობენ, შეიარაღებული ძარცვისთვის მსჯავრდებული, გვარად ჯონსი შეუყვარდა. მაშინ ის 20 წლის იყო, ხოლო მამაკაცი სასჯელს იხდიდა მკაცრი რეჟიმის ციხეში, რომელშიც ელდრიჩი მსახურობდა.

ქალმა მას მალულად გადასცა მობილური ტელეფონი და სიმბარათი. გარდა ამისა, საკუთარი სიყვარულის დასამტკიცებლად მან შეყვარებულის ნომერი ბარძაყის შიდა მხარეს ამოისვირინგა.

ელდრიჩის კოლეგებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ის პატიმარს ეკეკლუცებოდა და ეჭვი გაუჩნდათ, რომ მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ქალი ბრალდებას უარყოფდა, მაგრამ შემდეგ ციხის თანამშრომლებს ხელში ჩაუვარდათ ჯონსონისთვის განკუთვნილი წერილი, რომელსაც ერთვოდა სვირინგის პიკანტური ფოტოსურათი.

ეჭვი მაშინ დადასტურდა, როდესაც ელდრიჩის სამედიცინო შემოწმების დროს მედდამ სვირინგი შენიშნა. ამის შემდეგ ქალი პოლიციამ დააკავა. მალევე ჯონსონს აღმოუჩინეს ტელეფონი, რომელშიც ციხის ზედამხედველისგან მიღებული შეტყობინებები ინახებოდა.

ოთხშაბათს, 14 აპრილს, სასამართლომ ქალს ათი თვით პატიმრობა მიუსაჯა. მან მის მიერ სამსახურში ჩადენილი შეუფერებელი საქციელი და პატიმრისთვის მობილური ტელეფონისა და სიმბარათის გადაცემის ფაქტი აღიარა.

# ბავშვებიანმა ქურდმა კანფეტები მოიპარა

ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში მამაკაცმა საქურდავად ბავშვები მიიყვანა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

აღნიშნული ინციდენტი კვირა საღამოს მოხდა და ის სათვალთვალო კამერამ გადაიღო. როდესაც საოჯახო მაღაზია დაიკეტა, მასთან მამაკაცი მივიდა ორი ბავშვის თანხლებით. მან მაღაზიის ფანჯარა ჩაამსხვრია და შიგნით ხელი შეყო, ამ დროს კი ერთ-ერთი ბავშვი მობილური ტელეფონის ფარნით უნათებდა. როგორც კი ბოროტმოქმედმა ხელში ნადავლი მოიგდო, სამივე შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

მეორე დილით მაღაზიის ერთ-ერთმა მფლობელმა აღმოაჩინა, რომ რამდენიმე კანფეტი და ტორტის მოსართავები იყო გატაცებული, რომლებიც ვიტრინაში ეწყო. ქურდს ხელი არ უხლია არც ფულის და არც გაყინული იოგურტისთვის. მისი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### საზოგადოება

# ბაგრატ შარიამ აფხაზეთს სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა ბაგრატ შარიამ აფხაზეთს სიმღერა მიუძღვნა. ბაგრატი აფხაზეთიდანაა და ყოველ წელს იქ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სამკურნალოდ ჩადის. მომღერალი „იმედის“ საესტრადო სტუდიის ხელმძღვანელთან, კომპოზიტორ ნიკოლოზ თითირაშვილთან აღმოჩნდა. მათი ერთობლივი მუშაობის დროს სიმღერა „აფხაზეთს“ დაიბადა:



– ერთ-ერთი საქველმოქმედო კონცერტის შემდეგ დიდი მოწიწებით მოვიდა ჩემთან აფხაზეთიდან ლტოლვილი ქალბატონი ნანი ნინუა, რომელმაც მთხოვა მისი შვილისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვისთვის მომესმინა. მას მუსიკალური სმენა აღმოაჩნდა. დაიწყო სირთულეებით აღსავსე, მაგრამ მიზანსწრაფული დაუღალავი შრომის პერიოდი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მუსიკალური მონაცემების განვითარება, სიმღერების შესწავლა.

გახარებულმა დედამ ლამაზ უბის წიგნაკში ავტოგრაფის ჩაწერა გვთხოვა, რომლის ყოველი ფურცელი დიდი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებით იყო შემკული. ამიტომ ვერ ვაკადრეთ სურვილების თხრობითი წინადადებებით ჩაწერა და უფლის ნებით ჩვენი სურვილები პედაგოგმა მარიამ სიფრაშვილმა ლექსად აკინძა. ბაგრატმა ლექსი ზეპირად ისწავლა და აფხაზეთში ყველას უკითხავდა. იგი ხომ აფხაზეთს სამკურნალო ვიზიტით ყოველ ზაფხულს სტუმრობდა. შემსუბუქებული რეგულაციების გამო, განახლებული რეპეტიციების დროს კი, მე და გაორკესტრების ავტორმა ჯონი თითირაშვილმა ამ ლექსის მიხედვით შევქმნით სიმღერა „აფხაზეთს“, რომელსაც წინ უძღვის აფხაზი მწერლის ლექსი აფხაზურ ენაზე. მას ფონად დაედო ვიდეომასალა აფხაზეთის შესახებ, რომელიც ჯანო თითირაშვილმა დაამუშავა.

მცხეთის კულტურის ცენტრში მკაცრი რეგულაციების დაცვით შედგა ბაგრატის სასცენო ნათლობა და სიმღერის „აფხაზეთს“ პრემიერა. „ბაგრატს ოცნება აუხდაო, იგი სცენაზე მღერისო“ – თვალცრემლიანი გულშემატკივრები ფეხზე ადგომით დიდხანს უკრავდნენ ტაშს. ყველა გაოცებული აღნიშნავდა, რომ ასეთ შედეგს არ ელოდა. კულისებიდან ბაგრატს წარმატებას ულოცავდნენ მისი პატარა მეგობრები სალომე თითირაშვილი, ანა-მარია და ემილია ეხვაიები, დეა და სოლომონ გერლიანები, ნატალი მდინარიძე, რომელთაც ასევე დიდი წარმატებით შეასრულეს სოლო სიმღერები.

ამ სცენაზე კიდევ ერთი სასცენო ნათლობა მიიღო 3 წლის ემილია ეხვაიამ ნუნუ გაბუნიას სიმღერით: „თუ რომელი უფრო მიყვარს“, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ასაკიდან იწყება „იმედის“ საესტრადო სტუდიაში პატარების მიღება, რადგან ადრეული ასაკიდან სწორად აღზრდა და მუსიკალურად განვითარება გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა. სწორედ ასეთი პატარები, 3-4 წლისები მოვიდნენ სტუდიაში სალომე, ანა-მარია, ნატალი და დეა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

### კალეიდოსკოპი

# ლეოპარდისგან თავდაღწეული ანტილოპა ლომების ნადავლად იქცა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პილანესბერგის ეროვნულ პარკში ტურისტების თვალწინ ანტილოპა გნუ ლეოპარდს გაექცა, მაგრამ ლომების ნადავლად იქცა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიში კრიუგერის პარკის არხზე გამოქვეყნდა.



43 წლის გიდ როდნი ნომბეკანის თქმით, მან ლეოპარდი იმ დროს შენიშნა, როდესაც თვალს ზებრებსა და ანტილოპა გნუებს ადევნებდა, რომლებიც წყალსატევთან წყურვილს იკლავდნენ. მტაცებელი ბალახისმჭამელ ცხოველებს მიეპარა და თავს დაესხა. გნუები გაიქცნენ და ვერ შენიშნეს, რომ პირდაპირ ლომების პრაიდისკენ გარბოდნენ, რომლებიც მათ მეორე მხრიდან უახლოვდებოდნენ.

საბოლოოდ ერთ-ერთი ანტილოპა გნუ სწორედ ლომების ნადავლად იქცა, დანარჩენებმა კი თავს გაქცევით უშველეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ორდღიანი სუპერლიგა

ევროპულმა სუპერლიგამ სულ 2 დღე იარსება. მართალია, ოფიციალურად ის ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ დამფუძნებელთა 12 გუნდიდან ნახევარმა უკვე დატოვა და ეს ინგლისური კლუბებია: მანჩესტერული სიტი და იუნაიტედი, ასევე ლივერპული, არსენალი, ჩელსი და ტოტენჰემი.

როგორც ბრიტანული მედია წერს, ეს იყო გულშემატკივრების დიდი გამარჯვება: ხმა პირველებმა ჩელსის გულშემატკივრებმა აიმაღლეს, რომლებიც „სტემფორდ ბრიჯის“ წინ შეიკრიბნენ. დასავლეთლონდონელებს ჯერ სიტი აჰყვა, მალევე კი, დანარჩენი ინგლისური გუნდები.

პრემიერლიგის დანარჩენმა თოთხმეტმა კლუბმაც უარი თქვა „აჯანყებულთა ლიგის“ შეერთებაზე.

გულშემატკივარმა პროტესტის მძლავრი ტალღა მთელს ევროპაში ააგორა. იტალიიდან გამოვიდა ხმა, რომ ინგლისურ ექვსეულს ინტერიც შეუერთდება და სუპერლიგიდან გავა. საუბარია, მილანისა და ესპანური გუნდების – ატლეტიკოსა და ბარსელონას გასვლაზეც.

შედეგად, სუპერლიგის დამფუძნებლებმა გამოაცხადეს, რომ მათი პროექტი შეჩერებულია.

სუპერლიგის შეჩერებამ ინგლისის „დიდი ექვსეულის“ შეფებიდან ყველაზე მეტად ტოტენჰემის მეპატრონე დენიელ ლევი დაზაფრა, რომელსაც სუპერლიგა ერჩივნა. ლევმა განცხადებაში თქვა, რომ ჩვენი საყვარელი სპორტი მუდამ ერთ ადგილს არ უნდა ტკეპნიდეს, ის უნდა ვითარდებოდეს, ხოლო სუპერლიგა ფინანსური სტაბილურობისა და თანხების სამართლიანი განაწილების გარანტიააო.

და მაინც, ლევიმ ფანებს აზრის მძლავრად და მკაფიოდ გამოხატვისთვის მადლობა გადაუხადა. თუმცა, სხვა რა გზა ჰქონდა.

ფანებს მადლობა გადაუხადეს არსენალის პატრონებმაც – ბოლო დღეებმა დაგვანახა, თუ რამდენად ჩართულია გულშემატკივარი კლუბის ცხოვრებაში და ყველაფერმა, რაც მოხდა, სამომავლოდ ღრმა ანალიზისკენ გვიბიძგაო.

– ჩვენ სუპერლიგას ვტოვებთ. შევცდით და ბოდიშს ვიხდით! – განაცხადეს ჩრდილოლონდონელთა ბოსებმა.

მანჩესტერ იუნაიტედმა განაცხადა, რომ მას მერე, რაც ყურადღებით გაეცნო ფანების, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისა და პროცესის სხვა მონაწილეთა რეაქციას, გადაწყვიტა სუპერლიგიდან გამოვიდეს.

დაახლოებით ამ ტიპის განცხადება გაავრცელა ლივერპულმაც.




ფაქტი ის არის, რომ „დიდი ექვსეულის“ არც ერთი კლუბის მეპატრონე არ ელოდა გულშემატკივრის ასეთ რეაქციას. ინგლისური მედია იმასაც წერს, რომ ჩელსის მეპატრონე რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი ფანების საქციელით შოკში იყო.

„ლურჯების“ ოფისიდან გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ მიხვდნენ, კლუბის დარჩენა სუპერლიგაში, მათი ფანების და ზოგადად საფეხბურთო საზოგადოების საწინააღმდეგო საქციელი იქნებოდა.

ბრიტანული მედია წერს, რომ ევროპის სუპერლიგამ მოახერხა ის, რაც დიდი ხანია არავის მოუხერხებია – მთელი ინგლისი ერთ მუშტად შეკრა. თვით პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონიც კი აპირებდა სუპერლიგის ქვეყანაში დაბლოკვის შესახებ კანონის მიღებას. მან სუპერლიგას კარტელი უწოდა და თქვა, რომ არავის აქვს უფლება, ინგლისელ გულშემატკივარს ფეხბურთი წაართვას.

მასობრივი პროტესტების გამო, პრემიერლიგის ბოლო მატჩი ჩელსისა და ბრაიტონს შორის 15 წუთით გვიან დაიწყო, ხოლო ლეგენდარული მეკარე პეტრ ჩეხი ხალხს ეხვეწებოდა ფეხბურთელები სტადიონზე შეეშვათ. ჩეხის დანახვაზე ბრბოდან ბევრმა დაიწყო ყვირილი – მოღალატევ!

როდესაც ხალხს გამოუცხადეს, რომ ჩელსი სუპერლიგას ტოვებს, „სტემფორდ ბრიჯის“ გარშემო საშინელი ღრიანცელი ატყდა.

პროტესტების შედეგად თანამდებობიდან გადადგა იუნაიტედის აღმასრულებელი შეფი ედ ვუდვორდი, რომელიც კლუბს 16 წელიწადი მართავდა. უცნაურია, მაგრამ ითქვა, რომ მან ეს ნაბიჯი სუპერლიგის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გადადგა.

ითქვა, რომ გადადგა იუვენტუსის პრეზიდენტი ანდრეა ანიელიც. თუმცა, იუვეს შეფი თავად არ ადასტურებს.

ბარსელონას ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ ხრიკს მიაგნო და განაცხადა, რომ ბარსა სუპერლიგაში მანამდე არ შევა, სანამ ამას კლუბის წევრები არ გადაწყვეტენ. ეს მათი კლუბია და გადაწყვეტილებაც მათ უნდა მიიღონო. კლუბის წევრი კი ათეულობით ათასი მოქალაქეა. მათი პოზიციის გარკვევას დიდი ალღო არ სჭირდება.

იუნაიტედის 23 წლის შემტევმა მარკუს რეშფორდმა ტვიტერზე ლეგენდარული მატ ბასბის სიტყვები დაწერა – ფეხბურთი ფანების გარეშე არაფერია! ლივერპულელი ჯორდან ჰენდერსონი პრემიერლიგის კაპიტნებს საგანგებო თათბირზე იწვევდა.

სიტის მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ კი, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მისი კლუბი სუპერლიგას შეუერთდა, მაშინვე გაბედა და ხმამაღლა განაცხადა:

– იქ, სადაც წარმატება გარანტირებულია და მოგება-წაგებას მნიშვნელობა არ აქვს, სპორტი არ არსებობს. მე ვისურვებდი, ამ კომიტეტის პრეზიდენტმა განმარტოს, რატომ გადადგეს ასეთი ნაბიჯი. არ ვიცი, რატომ შეარჩიეს სუპერლიგაში სათამაშოდ ეს კლუბები და არა სხვები. უსამართლობა მგონია, როდესაც მავანი გუნდი ქვედა ლიგაში პირველი ადგილისთვის იბრძვის, მაგრამ ამ გამარჯვებას აზრი აქ აქვს, რადგან ზევით ადგილები სხვებს ეკუთვნით და იქ მაინც არ აუშვებენ.

თავად სუპერლიგის შეფები არ ჩერდებიან და სპეციალური განცხადებაც გაავრცელეს:

– ევროპის სუპერლიგა დარწმუნებულია, რომ ევროპული ფეხბურთის ამჟამინდელი სტატუსი უნდა შეიცვალოს. ჩვენი შეთავაზება ახალი ევროპული კონკურსია, რადგან არსებული სისტემა არ მუშაობს. ჩვენი წინადადება მიმართულია იმისკენ, რომ სპორტს განვითარების საშუალება მიეცეს, მოხდეს რესურსებისა და სტაბილურობის გენერირება მთელი საფეხბურთო პირამიდისთვის და დახმარება ფინანსური სირთულეების დაძლევაში, რომელსაც პანდემიის შედეგად ყველა საფეხბურთო საზოგადოება განიცდის. ეს ასევე უზრუნველყოფდა სოლიდარობის თანხების მნიშვნელოვნად გაზრდას ფეხბურთში დაინტერესებული ყველა მხარისთვის.

მიუხედავად ინგლისური კლუბის გამოცხადებული გასვლისა, რომლებიც იძულებულნი გახდნენ გადაწყვეტილება წნეხის გამო მიეღოთ, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი წინადადება სრულებით შეესაბამება ევროპულ კანონმდებლობასა და წესებს, როგორც ეს გამოჩნდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მესამე პირების ქმედებებისგან სუპერლიგის დაცვის თაობაზე.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, პროექტის შესაცვლელად განვიხილავთ შესაფერის ნაბიჯებს ისე, რომ ჩვენი მიზანი კვლავაც იქნება გულშემატკივრებისთვის საუკეთესო წარმოდგენის შექმნა, მთელი საფეხბურთო საზოგადოებისთვის სოლიდარობის თანხების ერთდროულად გაზრდისთვის.

# კენჭაძეს და ოდიკაძეს ევროპიდან ბრინჯაო მოაქვთ

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ქართულმა დელეგაციამ უკვე მოიპოვა ორი ბრინჯაოს მედალი და კიდევ სამი მედლის შანსი აქვს.



79 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ნიკა კენჭაძემ მესამე ადგილისთვის სომეხი არმან ავაგიანს 47 წამში ხუთი ორქულიანი გდება გაუკეთა და ბრინჯაო ირგუნა.

ელიზბარ ოდიკაძე (97) კი, ბრინჯაოს მედლისთვის აზერბაიჯანელ შამილ ზუბაიროვს დაეჭიდა და სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

საჭიდაო ხალიჩაზე კიდევ ხუთი ქართველი მოჭიდავე გავიდა, რომელთაგან სანდრო ამინაშვილმა ფინალს უწია და ოქროს მედლისთვის რუს არტურ ნაიფონოვს შეხვდება.

ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავებენ ბექა ლომთაძე (61) და გენო პეტრიაშვილი (125 კგ).

# შედეგები

## 20 აპრილი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ბრაიტონი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 32 | 23 | 5 | 4 | 67-23 | 74 |
| 2.მანჩესტერი | 32 | 19 | 9 | 4 | 64-35 | 66 |
| 3.ლესტერი | 31 | 17 | 5 | 9 | 55-37 | 56 |
| 4.ჩელსი | 32 | 15 | 10 | 7 | 50-31 | 55 |
| 5.ვესტ ჰემი | 32 | 16 | 7 | 9 | 53-42 | 55 |
| 6.ლივერპული | 32 | 15 | 8 | 9 | 54-38 | 53 |
| 7.ტოტენჰემი | 32 | 14 | 8 | 10 | 54-37 | 50 |
| 8.ევერტონი | 31 | 14 | 7 | 10 | 43-40 | 49 |
| 9.არსენალი | 32 | 13 | 7 | 12 | 44-36 | 46 |
| 10.ლიდსი | 32 | 14 | 4 | 14 | 50-50 | 46 |
| 11.ასტონ ვილა | 30 | 13 | 5 | 12 | 43-33 | 44 |
| 12.ვულვზი | 32 | 11 | 8 | 13 | 32-41 | 41 |
| 13.კრ.პალასი | 31 | 10 | 8 | 13 | 33-52 | 38 |
| 14.საუთჰემპტონი | 31 | 10 | 6 | 15 | 39-56 | 36 |
| 15.ნიუკასლი | 32 | 9 | 8 | 15 | 35-53 | 35 |
| 16.ბრაიტონი | 32 | 7 | 13 | 12 | 33-38 | 34 |
| 17.ბარნლი | 32 | 8 | 9 | 15 | 26-45 | 33 |
| 18.ფულემი | 33 | 5 | 12 | 16 | 25-43 | 27 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 9 | 17 | 28-59 | 24 |
| 20.შეფილდი | 32 | 4 | 2 | 26 | 17-56 | 14 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრენტფორდი-კარდიფი ... 1:1
ნორვიჩი-უოტფორდი ... 0:1
პრესტონი-დერბი ... 3:0
სუონსი-ქპრ ... 0:1
უენსდი-ბლექბერნი ... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ლაიფციგი ... 2:1
აინტრახტი-აუსბურგი ... 2:0
არმინია-შალკე ... 1:0
ბაიერნი-ლევერკუზენი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 22 | 5 | 3 | 85-38 | 71 |
| 2.ლაიფციგი | 30 | 18 | 7 | 5 | 53-25 | 61 |
| 3.აინტრახტი | 31 | 15 | 11 | 4 | 61-44 | 56 |
| 4.ვოლფსბურგი | 29 | 15 | 9 | 5 | 51-29 | 54 |
| 5.დორტმუნდი | 29 | 15 | 4 | 10 | 62-42 | 49 |
| 6.ლევერკუზენი | 30 | 13 | 8 | 9 | 48-34 | 47 |
| 7.გლადბახი | 29 | 11 | 10 | 8 | 52-43 | 43 |
| 8.უნიონი | 29 | 10 | 13 | 6 | 44-35 | 43 |
| 9.ფრაიბურგი | 29 | 11 | 7 | 11 | 44-42 | 40 |
| 10.შტუტგარტი | 29 | 10 | 9 | 10 | 51-46 | 39 |
| 11.აუგსბურგი | 30 | 9 | 6 | 15 | 29-44 | 33 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 29 | 8 | 8 | 13 | 41-47 | 32 |
| 13.ვერდერი | 29 | 7 | 9 | 13 | 33-47 | 30 |
| 14.არმინია | 30 | 8 | 6 | 16 | 23-46 | 30 |
| 15.მაინცი | 28 | 7 | 7 | 14 | 30-48 | 28 |
| 16.ჰერტა | 28 | 6 | 8 | 14 | 34-48 | 26 |
| 17.კიოლნი | 30 | 6 | 8 | 16 | 29-54 | 26 |
| 18.შალკე | 30 | 2 | 7 | 21 | 18-76 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვიურცბურგერი-დარმშტადი ... 1:3
ფიურტი-ბრაუნშვაიგი ... 3:0
აუე-ნიურნბერგი ... 0:1

**იტალია. სერია ა**

ვერონა-ფიორენტინა ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 31 | 23 | 6 | 2 | 70-28 | 75 |
| 2.მილანი | 31 | 20 | 6 | 5 | 59-36 | 66 |
| 3.ატალანტა | 31 | 19 | 7 | 5 | 72-38 | 64 |
| 4.იუვენტუსი | 31 | 18 | 8 | 5 | 61-28 | 62 |
| 5.ნაპოლი | 31 | 19 | 3 | 9 | 66-35 | 60 |
| 6.ლაციო | 30 | 18 | 4 | 8 | 51-41 | 58 |
| 7.რომა | 31 | 16 | 6 | 9 | 55-47 | 54 |
| 8.სასუოლო | 31 | 12 | 10 | 9 | 52-49 | 46 |
| 9.ვერონა | 32 | 11 | 8 | 13 | 40-40 | 41 |
| 10.სამპდორია | 31 | 11 | 6 | 14 | 42-46 | 39 |
| 11.ბოლონია | 31 | 10 | 7 | 14 | 43-47 | 37 |
| 12.უდინეზე | 31 | 9 | 9 | 13 | 34-41 | 36 |
| 13.ფიორენტინა | 32 | 8 | 9 | 15 | 41-53 | 33 |
| 14.ჯენოა | 31 | 7 | 11 | 13 | 33-46 | 32 |
| 15.სპეცია | 31 | 8 | 8 | 15 | 41-59 | 32 |
| 16.ტორინო | 30 | 6 | 12 | 12 | 45-53 | 30 |
| 17.ბენევენტო | 31 | 7 | 9 | 15 | 33-60 | 30 |
| 18.კალიარი | 31 | 6 | 7 | 18 | 35-54 | 25 |
| 19.პარმა | 31 | 3 | 11 | 17 | 32-63 | 20 |
| 20.კროტონე | 31 | 4 | 3 | 24 | 38-79 | 15 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ამიენი-ვალანსიენი ... 3:1
გენგამი-შამბლი ... 1:0
გრენობლი-სოშო ... 2:0
კაენი-დიუნკერკი ... 1:1
ნანსი-აიაჩო ... 2:0
ნიორი-ტრუა ... 0:3
პო-ოსერი ... 3:0
პარიზი-კლერმონი ... 0:1
შატორუ-როდეზი ... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-ფარენსე ... 0:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-ადმირა ... 0:1
ჰარტბერგი-სტ.პოლენი ... 0:0
აუსტრია-რიდი ... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-გენჩლერი ... 2:2
რიზე-ქონია ... 5:3
ქარაგუმრუქი-გიოზთეფე ... 1:1
სივასი-ბეშიქთაში ... 0:0
ჰატაი-ანთალია ... 3:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ბოლესლავი ... 2:1
ჩესკე-სიგმა ... 2:2
იაბლონეცი-კარვინა ... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვარტა-ჩენსტოხოვა ... 0:2
პოგონი-გურნიკი ... 1:0
ლეხი-ლეხია ... 3:0
შლასკი-პოდბესკიჟიე ... 4:3

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

ზალაეგერსეგი-ბიდაფოკი ... 5:0
ფერენცვაროში-უიპეშტი ... 3:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნარგიზა (დოჩია) ლომთაძის ხსოვნა



ორმოცი დღე... უმძიმესი ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც სასულეთში გადაინაცვლე... ურთულესია უშენობა და კიდევ უფრო დაუჯერებელი ის ფაქტი, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ქალი, რომელიც სიკეთისა და სხვებზე მზრუნველობისთვის იყავი დაბადებული. ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, დიდი და თბილი გულის პატრონი. შენი წასვლით, ზოგი დედობილის გარეშე დატოვე, ზოგი ერთგული მეგობრის, ზოგი „მფარველი ანგელოზის“ ... ასე დაუსრულებლად შეიძლება უშენოდ დარჩენილთა ჩამოთვლა. ყველას უკვდავი გვეგონე...

წუთი არ არის, რომ არ გვახსოვდე, მუდამ ღიმილიანი, სიყვარულითა და სითბოთი გულანთებული, ლამაზი სულის პატრონი იყავი. შენი განვლილი ცხოვრება სამაგალითოა ჩვენთვის. ვერასოდეს იტანდი ტყუილსა და უსამართლობას და ბავშობიდანვე ებრძოდი, როგორც შეგეძლო. ცხოვრებამ გასწავლა ბრძოლა და ჭიდილი, თუ როგორ უნდა გამკლავებოდი აზვირთებულ, ბობოქარ ყოფას. შენ გახდი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ ერთი მემატიანე. უსამართლო და უთანასწორო ბრძოლის მიუხედავად, შეძელი საქართველოს ერთიანობისთვის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომში შეწირულ გმირთა, ისტორიისა და ბიოგრაფიების შეკრება და შთამომავლობისთვის დატოვება, წიგნი „უკვდავების“ სახით. განუსაზღვრელია შენი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. ასევე დაგვიტოვე შენი ავტობიოგრაფია „გულის ძახილი“, სადაც ნათლადაა გადმოცემული, თუ როგორ გამორჩეულად შეგეძლო ადამიანების სიყვარული და მათზე ზრუნვა. იყავი უანგარო, საიმედო, უტყუარი და სამუდამო მეგობარი შენი ლამაზი და საინტერესო ცხოვრების მანძილზე. გვეამაყება რომ, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და ღირსების მედლის კავალერი ხარ...

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

გვჯერა, ზეციური საქართველოდან დაგვლოცავ!

უსაზღვრო მადლიერების გრძნობით ვართ განმსჭვალული შენ მიმართ, დიდი მადლობა ყველაფრისთვის ნარგო! შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია!!!

**შენი დაკარგვით დამაშვრალი შენი ოჯახი**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 3. ხულიგნის, ქურდის, ბანდიტის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 5. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 6. რაიმე საქმის წინასწარ განზრახვით დაზიანება, ჩაშლა; 9. ქართველი ექიმი, დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული სამეფო; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 16. კრემისგულიანი ნამცხვარი; 18. ფრანგი მეზღაპრე.

**თარაზულად:** 1. სათბურში გამოყვანილი ნერგი; 4. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 7. ქართველი მოგზაური გინესის რეკორდსმენი; 8. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ბრაზილიელი მწერალი; 13. მეტროს სადგური თბილისში; 15. საგაზეთო პუბლიკაცია; 17. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 19. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სამურაბე ლამბაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხონთქარი; 2. ფერხისა; 3. სტუკო; 4. ლიგნიტი; 5. თამბაქო; 10. პასკვილი; 11. ეფრემვერდი; 12. ლიკეუმი; 15. პარტიტურა; 16. სკეტჩი; 17. ბურნაკუ; 20. ალუჩა.

**თარაზულად:** 6. კონცენტრატი; 7. ზინდანი; 8. ბრონქსი; 9. რამოსი; 13. მოლა; 14. აფონია; 18. დეპორტივო; 19. ბურჟე; 21. ფლეში; 22. ფიორდი; 23. კუსტურიცა; 24. ასათიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პინო; 2. პუარო; 3. ოპეკი; 5. ხუცური; 6. თეოლოგია; 9. უსახელაური; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. კია; 16. სესილი; 18. კიტო.

**თარაზულად:** 1. პომპეო; 4. აფხაზეთი; 7. ჩაფიძე; 8. კონფუცი; 12. კაფია; 13. სკლერა; 15. სალამო; 17. პაი; 19. ლეიკოციტები; 21. ბონუსი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4521

ევრო — 4.1442

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.8081

100 რუსული რუბლი — 4.5132

## ამინდის პროგნოზი 22 აპრილისათვის




## ნეიმარი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს



პსჟ-ს ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ფრანგულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეიმარი პსჟ-სთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებდა და გუნდში კიდევ 5 წლით დარჩებოდა.

როგორც ჩანს, ბრაზილიელი არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას და, შესაძლოა, ის ბარსელონაზეც ფიქრობდეს.

## ჯეიმი კარაგერმა სუპერ ლიგის იდეა გააპროტესტა

ლივერპულის ლეგენდამ ჯეიმი კარაგერმა სუპერ ლიგაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას არ მოსწონს ეს იდეა და იმედი აქვს, რომ საბოლოოდ ეს ტურნირი არ შედგება.

– არ მესმის, ვის გაუჩნდა ასეთი იდეა, მაგრამ ის ყველანაირ პრინციპს ეწინააღმდეგება და სრულიად ეგოისტურია. არ მინდა, რომ ლივერპული ამ ტურნირში ვიხილო, – განაცხადა კარაგერმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## განძის მაძიებელმა არხის ფსკერზე 20 წლის წინ გატაცებული სეიფი აღმოაჩინა



ავსტრალიელმა განძის მაძიებელმა ლი უებერმა ამსტერდამის არხში 20 წლის წინ გატაცებული სეიფი იპოვა, რომელშიც საკოლექციო მონეტები ინახებოდა.

უებერმა სეიფს იმ დროს მიაგნო, როდესაც არხის ფსკერს მაგნიტის გამოყენებით ამოწმებდა. მან აღმოაჩინა ადგილი, სადაც წყლის სიღრმეში მინიმუმ 46 სეიფი იყო ჩაგდებული. ერთ-ერთი მათგანი იმდენად დიდი იყო, რომ მის ამოსატანად განძის მაძიებელს ამწეს დაქირავება დასჭირდა.

– საბოლოოდ, დიდი ძალისხმევის შედეგად, ჩვენ ის გავხსენით, – განაცხადა უებერმა, – ჩვენდა გასაკვირად, ის მონეტებით გატენილი აღმოჩნდა. ზოგიერთი მათგანი დამცავ შალითაში იდო, რომლებსაც ნუმიზმატები იყენებენ. წარწერის Hortus Bonaticus 1682-1982 Amsterdam მიხედვით ისინი ამსტერდამის ბოტანიკური ბაღის იუბილესთან დაკავშირებით გამოშვებული სამახსოვრო მონეტები იყო. განძის მაძიებელი პოლიციას დაუკავშირდა და გამოარკვია, რომ ისინი 20 წელზე მეტი ხნის წინ გაიტაცეს.

## პაემნის გამო ზღვის გადამცურავმა ბრიტანელმა შეყვარებული მიატოვა

ბრიტანელმა მამაკაცმა, რომელმაც პაემნის გამო ირლანდიის ზღვა ჰიდროციკლით გადაცურა და ამ მიზეზით გისოსებს მიღმაც კი ამოყო თავი, შეყვარებული მიატოვა. ახლა მის ყოფილ შეყვარებულს პატიმრობა ემუქრება.

გასული წლის დეკემბერში 28 წლის დეილ მაკლაფლენმა ოთხ საათში მიაღწია დიდი ბრიტანეთის კუნძულ მენამდე, სადაც 30 წლის ჯესიკა რედკლიფი ცხოვრობდა. კოვიდ-19 პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვების წესების დარღვევის გამო მას ოთხი კვირით პატიმრობა მიესაჯა. მან გისოსებს მიღმა ათი დღე გაატარა, რის შემდეგაც გაათავისუფლეს.

მალე წყვილი ერთმანეთს დაშორდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მაკლაფლენმა კუნძულ მენზე ცხოვრებისთვის აუცილებელი ნებართვის მიღება ვერ მოახერხა. ამის შემდეგ რედკლიფმა ფეისბუქიდან ყოფილი შეყვარებულის ყველა ფოტოსურათი წაშალა.

რედკლიფს სხვა ქალზე თავდასხმა ედება ბრალად. მამაკაცთან დაშორების შემდეგ ის თავის მეგობარ ქალთან ერთად შეიჭრა 33 წლის ლეანა ბრედლის სახლში, დაუმტვრია აიფონი და ხელებითა და ფეხებით ცემა დაუწყო. ამის შედეგად ბრედლიმ მრავალი დაზიანება მიიღო. სამართალდამცავებს კონფლიქტის მიზეზი არ დაუსახელებიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 22 აპრილისათვის



**ვერძი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **კურო** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **ტყუპები** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კირჩხიბი** – დღევანდელი მოვლენები თქვენს შემდგომ ცხოვრებაზეც მოახდენს გავლენას. უსარგებლო კავშირები სასწრაფოდ გაწყვიტეთ. **ლომი** – პარტნიორთან ურთიერთობა გეძაბებათ. ბიზნესში ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **თხის რქა** – მერკურის მფარველობის წყალობით პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **მერწყული** – ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს ნუ აჰყვებით. აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **თევზები** – კრიტიკული დღეა. სინდისის ხმას მოუსმინეთ და ისე იმოქმედეთ. საღამო საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ ხარ დაღვრემილი, რა მოხდა?

– გუშინ ცოლი ჩამოვიდა კურორტიდან...

– მერე?

– დენის მრიცხველის ჩვენებით გამოთვალა, რამდენი ღამე არ გამითევია სახლში მისი არყოფნის დროს...

●●●

ამომრჩევლებთან შეხვედრაზე დეპუტატი მათეუბნება:

– მათ, ვისი შვილებიც ოპოზიციის მიტინგებზე დადიან, მშობლის უფლება უნდა ჩამოერთვათ.

ამ დროს დარბაზიდან ხმა კითხულობს:

– და თუ თქვენი შვილებიც დადიან?

– ჩემი შვილები ვერ ივლიან. ისინი ლონდონში სწავლობენ!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– რაზე ესაუბრებოდი ჩვენს მეზობელ ლიკას?

– ამინდზე...

– იცი რა, სინოპტიკოსო, მომისმინე, კიდევ ერთხელ დაგინახავ მის გვერდით და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ნალექად გადაიქცევი!

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რა საერთოა აშშ-ის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ და რუსეთის სანქციებს აშშ-ის წინააღმდეგ შორის?

– ორივე შემთხვევაში წაგებული რუსეთი დარჩება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ეკა ჩხეიძე ტელეწამყვანი გახდა



მსახიობი ეკა ჩხეიძე ტელეწამყვანი გახდა. ყოველ ხუთშაბათს ტელეკომპანია „ფორმულას" ეთერში ის გადაცემა „ყვითელ ყუთს" გაუძღვება.

– სიმართლე, ფული და უცნობი ისტორიები – ეს არის მსახიობის გადაცემის მთავარი გზავნილი.

„ყვითელი ყუთის" პირველი გადაცემა ეკა ჩხეიძემ უკვე ჩაწერა და სტუმრად იუმორისტი მიშა ანდღულაძე მიიწვია.

## ირაკლი მაქაცარია არმანის სახეა



„პრაიმ შოუს" წამყვანი ირაკლი მაქაცარია მსოფლიოში ცნობილი ბრენდის არმანის სახეა. ერთ-ერთმა ყველაზე სიმპათიურმა ქართველმა მამაკაცმა უკრაინაში სპეციალურად დაგეგმილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა:

– გახლავართ ემპორიო არმანის ბრენდ ამბასადორი და სახე უკრაინაში. ჩემთვის დიდი პატივია ამ ბრენდთან ასოცირება.

## რატი წითელაძე საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია




რეჟისორ რატი წითელაძის ფილმის პროექტმა „თეთრი ღამეები" მსოფლიოს პრესტიჟულ კინოფესტივალზე გაიმარჯვა:

– ჩვენი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „თეთრი ღამეები" მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და პრესტიჟული კინოფესტივალის ინდუსტრიულ პლატფორმაზე პრიზი მოიპოვა.

ფილმი მოგვითხრობს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალის ამბავს, რომელსაც ერთადერთი სურვილი ამოძრავებს, სურვილი იმისა, რომ ჰყავდეს შვილი. თუმცა უკვე ათწლეულზე მეტია, რაც ის უნაყოფობასა და სოციალურ ზეწოლას ებრძვის.

## მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი სახელოსნოში გარდაცვლილი იპოვეს



მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი სახელოსნოში გარდაცვლილი იპოვეს. სამწუხარო ინფორმაცია ნინო კვაჭანტირაძემ გაავრცელა:

– კიკალაც წავიდა... უცნაურად დიდი კაცი იყო თენგიზ კიკალიშვილი და ამიტომ დიდი ამბავი მოჰყვა თბილისში მისი კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის დადგმას, თუმცა გავიდა წლები და თვითონ ამბობდა, ზუსტად ვიცოდი, აი, დადგა და დამკვიდრდა იმ ადგილზე და აღარაფერი შეიცვლება, იქ ყველა დეტალი გათვლილია, სატევარის ზომიდან, ჯდომის მანერით დასრულებულიო და მერე სხვებმაც აღიარეს, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია თბილისში. მერე სარაჯიშვილის ძეგლი იყო, მერე ტერენტი გრანელის.

ამ ბოლოს, თუ სადმე გადაეყრებოდი, მოგიყვებოდა, როგორი მაგარი გამოდის დათო ყიფიანის ქანდაკებაო. რა ვიცი, მგონი ვერ იყო შესაფერისად შეფასებული და დაფასებული. სახელოსნოში იპოვეს გარდაცვლილი... ღმერთმა გაანათლოს!

## მაია კიკაბიძე რობერტ სტურუას აკრიტიკებს



მხატვარი მაია კიკაბიძე რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ რობერტ სტურუას აკრიტიკებს:

– დიდი მადლობა, რაც გაგიკეთებიათ, მაგრამ ბევრად მადლობას დაიმსახურებდით, ახალი რეჟისორებისთვის თავის დროზე ხელი გაგეწოდებინათ, მადლობას გეტყოდათ, უფრო მეტი რეჟისორების საჩვენებელ სპექტაკლებზე, მოკრძალებულ ლოდინში რომ იყვნენ თქვენი აზრის და შეფასების შედეგის და თქვენ ხვრინავდით სპექტაკლების დროს. მეტს დაიმსახურებდით პატივისცემას, რუსთაველის თეატრი მხოლოდ თქვენს სახლად რომ არ ჩაგეთვალათ და ახლებისთვის მცირე სცენა მაინც დაგეთმოთ პროტექცია ვისი შვილიას გარეშე; უფრო ეყვარებოდით, თავისუფალი ადამიანი რომ ყოფილიყავით და თქვენთან მოსალმება, იატაკზე შუბლის რტყმა რომ დაგეგმოთ, უფრო იქნებოდით ადამიანი, მსახიობების თვალებში ციცინი და მლიქვნელობა დაყენებული სიყვარული რომ არ გყვარებოდათ; უჰ, რუსეთში გაქცევები და იქიდან კრიტიკა-ლანძღვები კიდე, ნახვამდის და რაც დაგიდგამთ კარგი, მე, როგორც მაყურებელი, მადლობას გეუბნებით, დანარჩენი თქვენს სინდისზეა.

## დოლოჭოპის უძველესი ბაზილიკა ისევ დაიტბორა



ყვარელში IV საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ულამაზესი ძეგლი – დოლოჭოპის ბაზილიკა კვლავ დაიტბორა.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში პროფესორმა ნოდარ ბახტაძემ გაავრცელა:

– დაგვტბორეს ამ ჭკუანაღრძნობმა ბოროტმოქმედებმა! სოს! იძირება და ინგრევა ქრისტიანული კულტურის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი!

ტბორავენ და გაცილებით მასშტაბურად! ერეცხება ძირი ამ უდიდესი ძალისხმევით გამოვლენილ ეროვნულ სიამაყეს! არად ჩააგდეს მეცნიერთა, ძეგლთა დაცვის სამთავრობო სტრუქტურების გაფრთხილება და ხვეწნა-მუდარა, ბოლომდე არ მიიყვანეს, მიაჩუმათეს სისხლის სამართლის საქმე და არხეინად ანადგურებენ კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ, ეროვნული კატეგორიის ძეგლს! ერთხელ მაინც გადაემოწმებინა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, თუ აღმოიფხვრა საშიშროება... ვალი მოიხადეს, თითქოს მარტო ჩვენი იყოს საქართველოში ეს უძველესი და უდიდესი ქრისტიანული ტაძარი! სოს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. „ლივერპულის" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 4. ვეტექიმის ძველი სახელწოდება; 5. სოფელი საჩხერის რაიონში; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი ლითონი; 15. უბანი თბილისში; 16. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 17. თვითმფრინავის ტრაექტორია დაშვებისას; 20. ყოველკვირეული ჟურნალი საქართველოში.

**თარაზულად:** 6. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 8. სიკო დოლიძის კინოკომედია; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. ქუჩაში მოწყობილი ბანკის სალარო-ავტომატი; 24. ამერიკული წარმოების ინდივიდუალური რეაქტიული ჭურვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

